ყოველი ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 12 აგვისტო 1939 წ.

№ 184 (5584)

ფასი 10 კაპ.

## საქართველოს პავილიონი საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს ყველაზე

მოსკოვი. 11 აგვისტო (ბილდ-აპარატით ჩვენი საკ. კორ.). საქართველოს პავილიონი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კვლავ იპყრობს გამოფენის მნახველთა დიდ ყურადღებას. დღეს გამოფენის გახსნის მეთერთმეტე დღეა, მაგრამ ისევე, როგორც პირველ დღეს, მნახველთა დაუსრულებელი ნაკადი დილიდან ღამემდე მიემართება პავილიონის კარისაკენ. დაახლოვებითი გამოანგარიშებით, პავილიონს ყოველდღიურად ათვალიერებს 30-35 ათასი კაცი. ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა მხრიდან აქ მოდიან საკოლმეურნეო მინდვრების საუკეთესო ადამიანები, მუშები, სოფლის მასწავლებლები და აგრონომები, პროფესორები და სამხედრო პირნი. საქართველოს პავილიონი საოცხოო შთაბეჭდილებას ახდენს ყველაზე.

ტყავის წითელყდიან დიდ წიგნში, რომელიც პავილიონის შესასვლელთან ინახება, ჩაწერილია მათი აღტაცება ნახულით.

აფხაზეთის სოციალისტური მინდვრების მოწინავეთა ჯგუფი მოგვითხრობს ამ წიგნში, თუ პავილიონის მეოხებით როგორ შესძლეს მათ გაეგოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მთელი გიგანტური ზრდა; აფხაზები სწერენ, რომ ისინი „მეტად კმაყოფილნი დარჩნენ როგორც ჩვენებით, ისე ახსნა-განმარტებით".

ვორონეჟელი კოლმეურნე ქალები კორშუნოვა და ტელკოვა აცხადებენ, რომ საქართველოს პავილიონმა მათზე მოახდინა უდიდესი, წარუშლელი შთაბეჭდილება. „ჩვენ ნათლად წარმოვიდგინეთ ქართველი ხალხის ბედნიერი ცხოვრება. საქართველოს პავილიონში გინდა სთქვა: მადლობა ამხანაგ **სტალინს** ყოველივე იმისათვის, რაც მან ჩვენი წარმტაცი ცხოვრებისათვის გააკეთა".

ჩვენს პავილიონში მნახველები დეტალურად ეცნობიან, თუ როგორ ცხოვრობს ქართველი ხალხი, რა გამარჯვებებს მიაღწია მან. აი რას სწერს შვებულებაში მყოფი წითელარმიელი ამხ. კრასნიკოვი: „სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნამდე მე არ ვიცოდი როგორ ცხოვრობდა ქართველი ხალხი, ახლა კი ყველაფერი ნათლად მაქვს წარმოდგენილი".

პუშკინოში მოწყობილი გამოფენა ამგვარად წარმოადგენს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო გამოცდილების სკოლას, არამედ ადგილსაც, სადაც მტკიცდება ძმური კავშირი სსრ კავშირის ხალხთა შორის.

ვინ არ ყოფილა ამ დღეებში საქართველოს პავილიონში! მნახველთა ჩანაწერების წიგნში ჩვენ ვხვდებით ვინიცის ოლქიდან ჩამოსული ექსკურსანტების, ჟიტომირის ოლქის სოფლის მეურნეობის ორდენოსან მოწინავეთა ჯგუფის, მარის ასსრ კოლმეურნეთა, კარელიიდან ჩამოსული აგრონომების, ორიოლის ოლქიდან ჩამოსული მასწავლებლების, ყირიმელ მოსწავლეთა, იაროსლაველ მუშა-მოსამსახურეთა დელეგაციის ჩანაწერებს. ისინი აღტაცებით მიესალმებიან სოციალისტურ საქართველოს, სწერენ ზოგჯერ მოკლედ, მაგრამ უაღრესად მჭერმეტყველურად: „საქართველოს პავილიონი მშვენიერია. ვიშნევსკი", ან „მსურს გამოვთქვა საუკეთესო სურვილები აყვავებულ საქართველოსადმი" — კომკავშირელი გოვორუხო". „მე ვნახე ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა, რომელიც გამოჩარდა ბოლშევიზმმა", — სწერს ვ. რომანოვი.

პავილიონის მნახველები სწერენ პატრიოტიზმისა და სიამაყის იმ მაღალ გრძნობაზე, რომელიც ებადებათ საქართველოს პავილიონის დათვალიერების დროს. „საქართველოს სიმდიდრე, — სწერს ამხ. იუშკევიჩი, საკ. კ. პ. (ბ) ვიტებსკის საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ინსტრუქტორი, — ჩვენი სამშობლოს მთელი მრავალმილიონიანი ხალხის სიამაყეა". საინტერესოა მოსწავლეთა და ბავშვთა ჩანაწერები. აი ერთი მათგანი: „საქართველოს პავილიონმა კარგად გვიჩვენა თავისი მოწყობილობა და თავისი ხელოვნება. სალამით — ზინა".

დღეს ჩვენი პავილიონი დაათვალიერეს კოლმეურნეთა ჯგუფებმა ტულის ოლქიდან, მინსკის ოლქიდან, ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორებმა, კაზახების, ყირგიზების, სომხების, აზერბაიჯანელების, უკრაინელებისა და სხვა დელეგაციებმა. დიდხანს ათვალიერებდა პავილიონს უცხოელი რევოლუციური მწერლების ჯგუფი — ვილი ბრედელი, ჯერმანეტო, ერიხ ვეინარტი, ადამ შარლი, ტეოდორ პლევიე და სხვ.

პავილიონი დაათვალიერა აგრეთვე ბელორუსიის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კ. კისელიოვმა. მნახველთა წიგნში მან დატოვა შემდეგი ჩანაწერი: „მზიანი სტალინური საქართველოს პავილიონი წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. განსაკუთრებით ლამაზია შინაგანი და გარეგანი გაფორმება. ნატურალური ექსპონატების სიმდიდრე, ციტრუსების ხეების აყვავებული ბაღი ასახავენ ქართველი ხალხის შეძლებულ ცხოვრებას. ბელორუსიის ორდენოსანი სს რესპუბლიკის სახელით მხურვალე სალამსა და სიყვარულის სიტყვებს ვუძღვნი შესანიშნავ ქართველ ხალხს, ხალხს, რომელმაც ჩვენს ქვეყანას მისცა დიდი **სტალინი**".



სარატოვის ოლქის დარბაზი პოვოლჟიეს პავილიონში სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე. საქდესის ფოტოქრონიკა.

## მივცეთ წითელ არმიას საუკეთესო შევსება

[illegible]

## საბჭოთა კონტროლის კომისიაში

[illegible]

...რი ბუღალტერი ამხ. რუსეცკი ჩამოქვეითებული იქნება თანამდებობით, ხოლო შრომის განყოფილების უფროსი ამხ. ბურცევი მოხსნილი იქნება სამუშაოდან.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ დაავალა სსრ კავშირის ხორცის და რძის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. კუზმინიხს დაუყოვნებლივ შეუფარდოს მიქოიანის სახელობის მოსკოვის ხორცკომბინატის მუშაკების ხელფასის განაკვეთები დამტკიცებულ საშტატო განრიგებს. (საქდესი).

## სტახანოვური მოძრაობის მეოთხე წლისთავის შესახვედრად

სტალინო, 10 აგვისტო (საქდესი). ოლქის მოწინავე შახტების კოლექტივები ერთმანეთს ეჯიბრებიან სტახანოვური მოძრაობის მეოთხე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

„სტალინუგოლის" ტრესტის № 29 შახტის სამთამადნო მუშები, გეგმით გათვალისწინებულ 1.280 ტონის ნაცვლად ყოველდღე იღებენ 1.500 ტონა ქვანახშირს. ყველაზე უკეთესად მუშაობს პირველი უბანი, რომელსაც ხელმძღვანელობს ოვჩაროვი, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის".

ყოველდღიურად ციკლავს რა 160 მეტრიან ლავას, კოლექტივმა აგვისტოს 8 დღის განმავლობაში ამოიღო 3.731 ტონა ქვანახშირი — გეგმის 173 პროცენტი. წლიური პროგრამის შესასრულებლად უბანს ამოსაღები დარჩა კიდევ 2.600 ტონა. იმ უფლების მოსაპოვებლად, რომ ქვანახშირის უკანასკნელი ტონა ჩააბარონ წლიური გეგმის ანგარიშში, შახტების ქვანახშირის ყველა ბრიგადა იბრძვის.

## საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი

### საინფორმაციო ცნობა

9-11 აგვისტოს მიმდინარეობდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ამხ. **გ. კიკნაძის** მოხსენება — 1938-39 სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადყოფნა.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: სიჭინავა (საქ. ალკკ ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი), მურადიანი (საქ. ალკკ ბოგდანოვკის რაიკომის მდივანი), აშიროვი (საქ. ალკკ ლუქსემბურგის რაიკომის მდივანი), ბაქრაძე (საქ. ალკკ ტყიბულის რაიკომის მდივანი), ბირბიჭაძე (საქ. ალკკ ზესტაფონის რაიკომის მდივანი), ტაიროვი (საქ. ალკკ ასპინძის რაიკომის მდივანი), ცხვარაძე (საქ. ალკკ ვანის რაიკომის მდივნის მოადგილე), გარდაფხაძე (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივნის მოადგილე), კობიძე (საქ. ალკკ კასპის რაიკომის მდივანი), ბუკულოვი (საქ. ალკკ სტალინირის რაიკომის მდივანი), ჰუსეინოვი (საქ. ალკკ ბაშკიჩეთის რაიკომის მდივანი), ონიანი (საქ. ალკკ ქვემო-სვანეთის რაიკომის მდივანი), შავიძე (საქ. ალკკ ონის რაიკომის მდივანი), ჩაჩიბაია (საქ. ალკკ გუდაუთის რაიკომის მდივანი), ხარაძე (საქ. ალკკ ლაგოდეხის რაიკომის მდივანი), თოდაძე (საქ. ალკკ ჭიათურის რაიკომის მდივანი), ტატიშვილი (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის მდივანი), შანიძე (საქ. ალკკ ც. კ-ის სასკოლო ახალგაზრდობის განყოფილების გამგე), ქუთათელაძე (საქ. ალკკ წულუკიძის რაიკომის მდივანი), ლაზარაშვილი (საქ. ალკკ გორის რაიკომის მდივანი), დარსალია (საქართველოს განსახკომის სკოლის გარეშე მუშაობის ინსპექტორი), სანიკიძე (საქ. ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი), ქვანია (საქ. ალკკ ფოთის ქალაქკომის მდივანი), ესართია (საქ. ალკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანი), გოგუაძე (საქ. ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პიონერთა და სასკოლო ახალგაზრდობის განყოფილების გამგე), ხურცია (საქ. ალკკ ცხაკაიას რაიკომის მდივანი), თვალიაშვილი (საქ. ალკკ თელავის რაიკომის მდივანი), გოგიშვილი (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანი), ბოხუა (საქ. ალკკ გალის რაიკომის მდივანი), ბირკაძე (საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი).

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა და განიხილა აგრეთვე საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. **ხაკბას** და საქ. ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. **ცქიტიშვილის** მოხსენებანი იმაზე, თუ როგორ სრულდება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საკ. ალკკ ც. კ-ის დადგენილებანი პროპაგანდის შესახებ.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ჩოკორაია (საქ. ალკკ ხობის რაიკომის მდივანი), გაბელია (საქ. ალკკ ოჩემჩირის რაიკომის მდივნის მოადგილე), კაჭკაჭოვი (საქ. ალკკ დუშეთის რაიკომის მდივანი), ქოიავა (საქ. ალკკ აბაშის რაიკომის მდივანი), ცქრიალაძე (საქ. ალკკ ადბულალის რაიკომის მდივანი), არტაზოვი (საქ. ალკკ ც. კ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე), ლაბარტყავა (ა.-კ. რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე კომკავშირის ხაზით), ცაგარეიშვილი (საქ. ალკკ გურჯაანის რაიკომის მდივნის მოადგილე), გვილავა (საქ. ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოადგილე), ჟორდია (საქ. ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოადგილე), თუთბერიძე (საქ. ალკკ ბერიას რაიკომის მდივნის მოადგილე), სუხიტაშვილი (საქ. ალკკ თბილისის რაიკომის მდივნის მოადგილე), ურუშაძე (საქ. ალკკ ც. კ-თან არსებული პროპაგანდისტთა სკოლის დირექტორი), კოშაძე (სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), გოზალოვი (ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე კომკავშირის ხაზით), სიხარულიძე (საქ. ალკკ სამტრედიის რაიკომის მდივანი), გელაშვილი (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი), ბირკაია (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციის პროპაგანდის განყოფილების გამგე), იოსებაშვილი (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივნის მოადგილე), რომელაშვილი (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის მოადგილე), გ. იმნაიშვილი (საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი).

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. თავაძემ.** იგი გამოვიდა ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით კომკავშირში პროპაგანდის დაყენების შესახებ.

მოსმენილ მოხსენებათა გამო პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები. საქ. ალკკ ც. კ-ის მდივნად სასკოლო ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის დარგში პლენუმმა დაამტკიცა ამხ. **თ. ბირკაძე;** საქ. ალკკ ც. კ-ის მდივნად კადრების დარგში პლენუმმა აირჩია ამხ. **შ. დგებუაძე** და შეიყვანა იგი ც. კ-ის ბიუროს წევრთა შემადგენლობაში.

ამხ. ა. მერცხულავას სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. **დ. მჭედლიშვილი.**

პლენუმმა გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" რედაქტორად დაამტკიცა ამხ. **გ. სემიონოვი.** (საქდესი).

## ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბულგარეთის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი

10 აგვისტოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ვ. მ. მოლოტოვმა** კრემლში მიიღო ბულგარეთის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი 20 კაცის შემადგენლობით, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნ გ. მარკოვის, საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნ გ. გოვედაროვის და პარლამენტის საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნ პ. კიოსეივანოვის მეთაურობით.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ამხ. ვ. პ. პოტიომკინი და ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი.

მიღებისას გაიმართა გაცხოველებული საუბარი, რაც მეგობრული და გულითადი განწყობილების ატმოსფეროში მიმდინარეობდა. (საქდესი).

## საფრანგეთის პრესის გამოხმაურება ფორსტერის სიტყვაზე

პარიზი, 11 აგვისტო (საქდესი). საფრანგეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს დანციგელ ფაშისტთა მეთაურის ფორსტერის მიერ გუშინ წარმოთქმული სიტყვა.

პრესის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ორგანოები, კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებული გაზეთი „პტი პარიზიენი", ამ სიტყვას ახასიათებენ, როგორც „გერმანიის შეტევას პოლონეთზე". მთელ რიგ გაზეთებს, როგორიც არის „ეპოქი", „ფიგარო" და სხვები, ანალოგია გაჰყავთ ფორსტერის სიტყვასა და იმ კამპანიას შორის, რომელსაც ეწეოდა გერმანია შარშან ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ მიუნხენის წინა დღეებში. მაგალითად, გაზეთი „ეპოქი" სწერს: „ჩვენ ვხედავთ, რომ მეორდება ის, რაც ხდებოდა ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და მემელის მიმართ. ფორსტერის სიტყვას რომ ვისმენთ, როგორ არ უნდა მოგვაგონდეს ის სიტყვები, რომლებითაც გამოდიოდნენ ზეის-ინკვარტი, ჰენლაინი და ნეიმანი? ამრიგად თანდათან ამზადებენ საზოგადოებრიობას. ამ მომზადებას გააძლიერებენ თვით იმ დღემდე, როდესაც ფაშისტური გერმანია სცენაზე გამოვა, მუშტს დაჰკრავს და განაცხადებს: „ეს ჩემია". „მაგრამ, — აცხადებს გაზეთი, — გერმანიის ფანდები ცნობილია. მისი განზრახვები ცხადია, და მთელმა მსოფლიომ უკვე უპასუხა — მიუნხენი მეტი აღარ იქნება!"

## იაპონია ინგლისისაგან მოითხოვს მოლაპარაკების განახლებას

ტოკიო, 11 აგვისტო (საქდესი). იაპონიის დელეგაციის მეთაური კატო 11 აგვისტოს დილით შეხვდა ინგლისის ტოკიოელ ელჩს კრეიგის და კვლავ მოსთხოვა ინგლის-იაპონიის მოლაპარაკების განახლება. გაზეთ „კოკუმინის" სიტყვით, კატომ „დიდი ზეგავლენა მოახდინა კრეიგიზე. შემდეგ კატოს თათბირი ჰქონდა საგარეო საქმეთა მინისტრ არიტასთან, რის შედეგადაც გადაწყდა მტკიცე გაფრთხილება მისცენ ინგლისს. ამ მიზნით კატო პირადად გაემგზავრა ინგლისის საელჩოში, სადაც 15 წუთის განმავლობაში მოლაპარაკებას აწარმოებდა კრეიგისთან".

## ახალი კანონი ჩეხების წინააღმდეგ „პროტექტორატში"

პრაღა, 11 აგვისტო (საქდესი). მთელი ჩეხური პრესა აქვეყნებს ჩეხიისა და მორავიის გერმანელი „პროტექტორის" კანონს, რომლითაც ყველა მოქალაქეს წინადადება ეძლევა ორი კვირის ვადაში ჩააბაროს ხელისუფლებას მთელი ცეცხლმსროლელი იარაღი და ფეთქებადი ნივთიერება, რაც კი მათ მოეპოვებათ. ვინც ამ განკარგულებას არ შეასრულებს, კანონის თანახმად, დაპატიმრებული იქნება 5 წლამდე. ის პირნი, რომელთაც იარაღი აქვთ ან ხელს უწყობენ იარაღის მარაგის შექმნას, სიკვდილით დაისჯებიან.

აღნიშნული კანონი მხოლოდ ჩეხებს ეხება. სპეციალური პუნქტით დათქმულია, რომ გერმანელებს ნება ეძლევათ იქონიონ იარაღი გერმანელი მოიერიშეების თანაბრად.

დღეს პრესა იუწყება, რომ ჩეხები აქტიურად მოქმედებენ გერმანიის არმიის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით გერმანული გაზეთი „ფოლკსდოიჩე ცაიტუნგი" აქვეყნებს მორავიის ოსტრავის (რომელიც პოლონეთის საზღვრის მახლობლად მდებარეობს) გერმანელ ხელისუფალთა გაფრთხილებას სამხედრო სატელეფონო ხაზებისა და გერმანიის არმიის ზოგიერთი სახის საჭურვლის გაფუჭების წინააღმდეგ და სამხედრო გასამართლებით იმუქრება ყველას, ვიზედაც ეჭვს მიიტანენ, რომ მან გააფუჭა გერმანიის არმიის ქონება.

## უკანასკნელი ცნობები

## გერმანელმა დივერსანტებმა პოლონეთის საზღვარი დაარღვიეს

ვარშავა, 11 აგვისტო (საქდესი). როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 9 აგვისტოს ღამით პოლონეთ - გერმანიის საზღვარზე, ქალაქ ხოჟუვის მახლობლად (ზემო სილეზია) ინციდენტი მოხდა. სააგენტოს სიტყვით, გერმანელი დივერსანტების ჯგუფი გადმოვიდა საზღვარზე, თავს დაესხა პოლონელ მესაზღვრეს და ცდილობდა მის განიარაღებას. შეტაკების დროს პოლონელმა მესაზღვრემ რევოლვერით მოჰკლა ერთი დივერსანტი. დანარჩენები გაიქცნენ უკან, გერმანიაში. შემთხვევის ადგილას იპოვეს დივერსანტების მიერ დაგდებული 11 რევოლვერი და რამდენიმე ასეული ვაზნა. პოლონელი მესაზღვრე, რომელიც სერიოზულად იქნა დაჭრილი, ჰოსპიტალში გაიგზავნა.

## ინგლისის ხელისუფლებამ გადასწყვიტა გასცეს ტიანძინში დაპატიმრებული ჩინელები

ლონდონი, 11 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გადასცეს მარიონეტულ „მთავრობას" 4 ჩინელი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ ინგლისის ტიანძინის კონცესიაზე იაპონიის მიერ დაყენებული აგენტის ჩენ სიკენის მოკვლაში ბრალდების გამო.

## ახალი ინსტრუქციები ინგლისის ტოკიოელი ელჩისათვის

ლონდონი, 11 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის ტოკიოელ ელჩს კრეიგის ახალი ინსტრუქციები გაეგზავნა, რომლებიც დააჩქარებენ ინგლის-იაპონიის მოლაპარაკების განახლებას.

## ჩაის ფოთლის დამზადება

### კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების.

(„საქჩაის" 10 აგვისტოს ცნობებით)

| რაიონები | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 1.705 | 1.151,8 | 67,6 | 22,4 |
| ქობულეთი | 7.848,6 | 5.277,7 | 67,2 | 22,9 |
| [illegible] | 3.128 | 2.457 | 78,5 | 24,4 |
| [illegible] | 1.793 | 1.350 | 75,3 | 25,9 |
| [illegible] | 14 | 10,6 | 75,7 | 32,5 |
| [illegible] | 160 | 21,4 | 133,8 | 57,5 |
| [illegible] | 10.011 | 6.940,1 | 69,3 | 24,1 |
| [illegible] | 1.253 | 954,5 | 76,2 | 23,4 |
| [illegible] | 3.350 | 2.311,9 | 69 | 22,3 |
| [illegible] | 261 | 210,8 | 80,8 | 23,3 |
| [illegible] | 1.151 | 890 | 77,3 | 23,5 |
| [illegible] | 317 | 290,3 | 91,6 | 25,5 |
| [illegible] | 510 | 340,8 | 66,8 | 19,3 |
| [illegible] | 929 | 818,3 | 88,3 | 27,8 |
| [illegible] | 2.626 | 1.697,7 | 64,6 | 22,1 |
| [illegible] | 4.881,4 | 3.753,2 | 76,9 | 23,5 |
| [illegible] | 1.618 | 1.182,8 | 73,1 | 17,2 |
| [illegible] | 1.302 | 1.127,2 | 86,6 | 27,4 |
| [illegible] | [illegible] | 287,2 | [illegible] | [illegible] |
| სულ | 43.100 | 30.963,8 | 71,8 | 23 |

[illegible]

## მესამე ხუთწლედის სესხი

(მეორე წლის გამოშვება)

უკანასკნელად შეჯამებული ცნობების მიხედვით, 10 აგვისტოს საღამოსათვის ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ საქართველოში მიაღწია 113.466.000 მანეთს. აქედან რესპუბლიკის ქალაქებში ხელმოწერის თანხამ მიაღწია 94.970.000 მანეთს.

სოფლად სესხზე ხელმოწერა არადამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობს. 10 აგვისტოს საღამოსათვის სესხზე ხელმოწერის თანხა სოფლად უდრიდა 18.496.000 მანეთს.

რესპუბლიკის რაიონებს შორის ახალ სესხზე ხელმოწერაში ყველაზე ჩამორჩენილი არიან: სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, აღბულაღის, ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ონის, სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, ჩხარის, ჩოხატაურის, ხაშურის, ქიათურის, წალენჯიხის, ცაგერის, ზესტაფონის, სამტრედიის, ორჯონიკიძის, გორის, გეგეჭკორის, ვანის, ბორჩალოს, ბოგდანოვკის, ბაშკიჩეთის, ბაღდათის, ახალქალაქის, ასპინძის, ამბროლაურის და თბილისის რაიონები.

## სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეცნიერი მუშაკები მახარაძეში

**მახარაძე**, 11 აგვისტო (საქდესი). ამჟამად ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში იმყოფებიან სრულიად-საკავშირო თბოტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები: პროფესორი მ. ი. ლუტრეე, ინჟინერი ბოლსონი და სხვები. ამ ამხანაგების ჩამოსვლის მიზანია შეამოწმონ და რაციონალიზაცია მოახდინონ იმ საჰაერო ღუმელებისა, რომლებიც ლაითურისა და მახარაძის ჩაის ფაბრიკებში მუშაობენ.

ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფ. ა. ი. ოპარინი, პროფ. ა. ლ. კურსანოვი ანასეულის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან—ა. ი. ხოჭოლავასთან და მ. ნ. შავიშვილთან ერთად ამუშავებენ ჩაის მრეწველობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა: ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხის ობიექტური განსაზღვრა, ფორმირება, სეზონისა და სხვ. გავლენა ჩაის ხარისხზე. პროფესორი დ. ა. საბინინი ანასეულის ჩაის პლანტაციაში ატარებს დაკვირვებას ჩაის ფიზიოლოგიის აქტუალურ საკითხებზე: ჩაის ფოთლის წყლის რეჟიმი, ახალი ყლორტების გაჩენისა და განვითარების პირობები ჩაის ბუჩქზე.

იმ საკითხების თავის დროზე გადაჭრას, რომლებსაც მეცნიერი მუშაკები ამუშავებენ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამზადებული ჩაის პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ზრდის უზრუნველყოფისათვის.

## დამზადებულია 14.500 კილოგრამი პარკი

**ზესტაფონი**, 11 აგვისტო. მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა ზესტაფონის რაიონმა 144,4 პროცენტით შეასრულა. 10.050 კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 14.500 კილოგრამი. საშუალო გამოსავლიანობა თვითეული კოლოფიდან 30 კილოგრამის ნაცვლად მიღებულია 49 კილოგრამი.

პარკის დამზადება გრძელდება.

**საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ძიძიგური**

## პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია 170 პროცენტით

(ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას)

**ჩხარი**, 11 აგვისტო. ჩხარის რაიონმა მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შეასრულა 170 პროცენტით. დამზადებულია სულ 13.579 კილოგრამი პარკი. დამზადება გრძელდება.

**საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის მდივანი დ. კაპანაძე**

## გეგმა შესრულებულია 100.4 პროცენტით

ცხაკაიას რაიონმა 11 აგვისტოსათვის აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დამზადებულია 155.866 კილოგრამი პარკი, წლიური გეგმის 100,4 პროცენტი.

პარკის დამზადება გრძელდება.

**საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი შამუგია**
**რაიაღმასკომის თავმჯდომარე ბერაია**

## რეკორდი ჩაის კრეფაში

(ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას)

მამათის (ლანჩხუთის რაიონი) ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ ქონა კილაძემ 10 აგვისტოს მოჰკრიფა 190,2 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი; გამოიმუშავა 17,27 შრომადღე. ნორმა შეასრულა 1.110 პროცენტით.

ჩაის კრეფის სეზონის დაწყებიდან მას დღემდე მოკრეფილი აქვს 4.042,6 კილოგრამი.

**მამათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მილორსი კილაძე**

## ნ. აბლოთიას ახალი რეკორდი

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას გალის რაიონის კოლმეურნეობები, მათი წარჩინებული ადამიანები ახალი საწარმოო აღმავლობით შეხვდნენ.

ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ, პარტიის წევრად ახლახან მიღებულმა ხადია აბლოთიამ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ახალი რეკორდი დაამყარა. მან 30 ივლისს მოჰკრიფა და მიმღებ პუნქტს ჩააბარა 352 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი და დღიური გეგმა 2346 პროცენტით შეასრულა.

**მირ. გვაგვალია**

## ბერიას რაიონის წვევამდელთა კონფერენცია

10 აგვისტოს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში შესდგა ბერიას რაიონის წვევამდელთა კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობას უკვე ჩაბარებული აქვს ვოროშილოვისებური მსროლელის, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის, სანიტარული თავდაცვის, ვოროშილოვისებური ტყვიამფრქვეველის და სხვა ნორმები.

კონფერენციის საქმიან პრეზიდიუმში არიან რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლები და წვევამდელები.

კონფერენცია ხანგრძლივი მქუხარე ტაშითა და ვაშას ძახილით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხალხთა საყვარელი ბელადის, ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობრის დიდი **სტალინის** მეთაურობით და ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

საერთაშორისო მდგომარეობაზე და წვევამდელთა ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარი, ათასეულის კომისარი ამხ გეგია

სიტყვებით გამოვიდნენ წვევამდელები: ამხ. გეგელი (რადიო-ქარხანა), შუბლაძე (სახბანკის თბილისის კანტორა), კერძაია (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსტერნატი), ავსაჯანიშვილი (ელექტროტექნიკუმი) და კომკავშირის ბერიას რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე ამხ. წულაია.

ამხ. ავსაჯანიშვილმა კონფერენციას მოუთხრო იმაზე, რომ ელექტროტექნიკუმში მყოფ წვევამდელთა 100 პროცენტს ჩაბარებული აქვს ვოროშილოვისებური მსროლელის ნორმები და უმოკლეს დროში ჩააბარებენ ნორმებს თავდაცვის სხვა სახეებშიც. სიტყვებით გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ, რომ ისინი, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის რაიონის წვევამდელები, ღირსეულად შეხვდებიან 1939 წლის შემოდგომის გაწვევას.

კონფერენციამ ხანგრძლივი მქუხარე ტაშითა და ოვაციით მისალმების დეპეშები გაუგზავნა ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს**, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელოვან სახალხო კომისარს ამხანაგ **ვოროშილოვს**, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ **ლ. ბერიას** და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ **კ. ჩარკვიანს**.

ა.-წ. 15 აგვისტოს, საღამოს სრულ 7 საათზე, პიონერთა კლუბში (ლენინის ქ. № 3) მოწვეულია

**ორჯონიკიძის სახ. რაიონის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს მე-13 პლენუმი**

დღის წესრიგი:

1938 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შედეგები და 1939 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება (მომხს. ვ. ჩაჩუა).

ორჯონიკიძის რაიონის საბჭოს დეპუტატები შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები კი მოსაწვევი ბარათებით, რომლებსაც გასცემს ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭო.

ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭოს პრეზიდიუმი

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

## ჩრდილოეთ-კავკასიისა და ყირიმის პავილიონში

ჩრდილოეთ-კავკასიის და ყირიმის პავილიონის ფართო შესასვლელი კარების წინ აღმართულია მასიური ქანდაკება — მძიმე ვაზა, რომელიც უხვად არის დახუნძლული მწიფე ნაყოფით.

მზიურ სამხრეთს, შავი ზღვის ლაჟვარდს მოგვაგონებს ყირიმის ასსრ დარბაზის ლამაზი მორთულობა. პანოზე მოთავსებულია თამბაქოს, ვაზის, ყაზანლიყის ვარდის, ბამბის პლანტაციები, ხილის ბაღები, ყანები... სტენდებთან სურნელოვანი და გემრიელი ნაყოფია. მრავალრიცხოვანი ექსპონატები მოწმობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ათობით ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა ათვისებული ყირიმში.

ორჯონიკიძის მხარის დარბაზშიც ყველაფერი გვიჩვენებს მთის თვალწარმტაც პეიზაჟებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების ნაყოფიერებას. დიდი ყურადღებით სარგებლობს აქ სტენდი ვოროშილოვის სახელმწიფო სასელექციო სადგურისა, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს აგრონომ დირჟავინისა და მისი თანამშრომლების ნამუშევრის მიხედვით.

დაღესტნის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ-ოსეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ დარბაზი ასახავს ჩრდილოეთ - კავკასიის ხალხთა სტალინურ მეგობრობას, მათს გამარჯვებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში. სტენდებთან ნაჩვენებია ოქროსფერი ყაჭი. სიმინდის მსხვილი ტაროები, დაბრაწული ვაშლები, ყურძნის მტევნები, უამრავი ხარისხის ღვინო.

საკოლმეურნეო შრომის საუცხოო სკოლას წარმოადგენს როსტოვის ოლქის დარბაზი, სადაც ნაჩვენებია მემინდვრეობისა და მეცხოველეობის მოწინავე მეთოდები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ორდენოსანმა კოლმეურნე ქალმა ამხ. ა. გ. მიცკევიჩმა ამ დარბაზის დათვალიერების შემდეგ შთაბეჭდილებათა წიგნში ჩასწერა:

„ძალიან დამაინტერესა აქ კარტოფილის ტუბერებმა, რომლებიც ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას მოუყვანია ღივით დონის დაბლობთა ლიმანში. ვალდებულებას ვკისრულობ მოგილიოვის ოლქის მინდვრებში გავამრავლო კარტოფილი ღივით და გავავრცელო ეს მეთოდი კოლმეურნეთა ფართო მასებში".

როსტოვის ოლქის დარბაზი მორთულია სოციალისტური მინდვრების წარჩინებულ ადამიანთა პორტრეტებით. შესავალში აღმართულია მატვეევ-კურგანის რაიონის კოლმეურნის, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ორდენოსანი ამხ. მ. ა. კოროლიოვას კარგად შესრულებული სკულპტურული პორტრეტი. მთელი სიმაღლის ზომისა. 1938 წელს მან ჰექტარზე 26 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი აიღო, მზესუმზირა კი — ჰექტარზე 16 ცენტნერი.

ათასობით კოლმეურნეები ყურადღებით ეკითხებიან ექსკურსიების ხელმძღვანელებს ამხ. კოროლიოვას მეთოდების შესახებ, სწავლობენ აქ მისი მუშაობის გამოცდილებას. მაგრამ გამოფენა თვით კოროლიოვასთვისაც დიდი უნივერსიტეტია. მან შთაბეჭდილებათა წიგნში ჩასწერა:

„დიდია ჩვენი მიღწევები, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ჩვენი შესაძლებლობანი. გამოფენა დიდი სკოლაა, ჩვენ აქ ბევრი რამ ახალი გავიგეთ, რასაც წარმატებით გამოვიყენებთ ჩვენს კოლმეურნეობებში. გამოფენა გვაფრთოვანებს ჩვენ, რათა კიდევ უფრო დაჟინებით, შეუპოვრად ვიბრძოლოთ დიდი მოსავლისათვის..."

მდიდარია კრასნოდარის მხარისა და ადიღეს ავტონომიური ოლქის დარბაზი. დიდ პანოებზე მნახველის წინაშე გადაშლილია მზის სხივებით გაბრწყინვებული მინდვრები და ვენახები. დარბაზი მორთულია ვეებერთელა დეკორატიული ძნით, რაც ჩვენი ქვეყნის ბეღლად გვიხატავს კრასნოდარის მხარეს. თავთავები ამართულა მაღლა, და ნაყოფიან ჰერს ებჯინება.

პავილიონის დათვალიერების შემდეგ მნახველი ბაღში მიდის, სადაც ყირიმის ახალგაზრდა პალმები და კვიპაროზები იზრდება კრასნოდარის ალვის ხისა და ეკლის ხის გვერდით.



სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: „ტრაქტორისტისა და კოლმეურნე-ქალი"-ს ქანდაკება დადგმული გამოფენის მთავარ პავილიონში
საკდესის ფოტოქრონიკა.

მნახველები აღფრთოვანებულნი არიან პავილიონით. ისინი ამბობენ, ცხადად დავრწმუნდით, თუ როგორ ჰქმნიან ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ თავიანთ მშვენიერ შეძლებულ ცხოვრებას ჩრდილოეთ-კავკასიისა და ყირიმის ხალხები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, კოლმეურნეობა „ზნამია კოლხოზნიკა" მეცხოველეობის ფერმების გამგემ, ორდენოსანმა ამხ. ფ. მ. სკილკოვამ ასე ჩასწერა შთაბეჭდილებათა წიგნში:

„აქ ადამიანი ყოველნაბიჯზე გრძნობს იმ გამარჯვებათა სიდიადეს, რომლებიც მოპოვებულია ლენინ-სტალინის გმირული პარტიისა და პირადად კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო მეგობრისა და მამის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. აქ ადამიანი ხედავს, თუ როგორ ალორძინებს საბჭოთა ხელისუფლება ჩვენი საყვარელი სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეს, როგორ ანოყიერებს მინდვრებს, მაღალპროდუქტიანს ხდის მეცხოველეობას და ეუფლება მიწის უხვ წიაღს. როსტოვის ოლქი, ისევე როგორც სსრ კავშირის სხვა მხარეები და ოლქები, უდიდესი წარმატებებით მოვიდა გამოფენაზე. გამოფენა ყოველმხრივი ცოდნის, მინდვრებისა და მეცხოველეობის სტახანოველთა მოწინავე გამოცდილების გადაცემის საყოველთაო-სახალხო უნივერსიტეტია. იგი კიდევ უფრო ჩქარა წასწევს წინ კოლმეურნეობათა შემდგომი აღმავლობისა და აყვავების საქმეს. გამოფენიდან რომ დავბრუნდებით, კიდევ უფრო ერთსულოვნად და მტკიცედ ვიბრძოლებთ, რათა ახალი გამარჯვებანი მოვიპოვოთ მეცხოველეობასა და მემინდვრეობაში". (საკდესი).

## 300.000 დამთვალიერებელი

ერთმა დეკადამ განვლო იმ დაუვიწყარი დღის შემდეგ, როდესაც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა მოლოტოვმა წითელი ლენტი გადასჭრა მთავარ პავილიონთან და გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა პირველმა ნაკადმა იწყო დენა ფართო, ნათელ დარბაზებში. კოლმეურნეები, კომბაინერები, ტრაქტორისტები, აგრონომები, მეცნიერი მუშაკები ყოველდღე ათვალიერებენ პავილიონებში და ნათეს ნაკვეთებზე წარმოდგენილ ექსპონატებს, გადააქვთ მოწინავე გამოცდილება და მიაქვთ იგი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

10 აგვისტოს გამოფენის მთავარი კომიტეტის საექსკურსიო განყოფილებამ შეაჯამა მუშაობის პირველი შედეგები. 10 დღის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა 300 ათასზე მეტმა კაცმა. გამოფენის ტერიტორიაზე ყოველდღე საშუალოდ 1.100-ზე მეტი ექსკურსია მოდის.

დამთვალიერებელთა რაოდენობის მხრივ მთავარ პავილიონს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ცხრა დღის განმავლობაში აქ უკვე 1.600-მდე ექსკურსია იყო. პავილიონში ყოველდღე 35 ათასი კაცი მოდის, ხოლო ცალკეულ დღეებში — 40 ათასი და მეტიც. მას არ ჩამოუვარდება შორეულ აღმოსავლეთის პავილიონიც. ამ პავილიონთან გაიმართა შორეულ აღმოსავლეთელთა დაუვიწყარი შეხვედრა ვორონეჟის, კურსკისა და ტამბოვის ოლქების, უკრაინისა და ბელორუსიის კოლმეურნეებთან, ტრაქტორისტებთან და კომბაინერებთან.

დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს სსრ პავილიონი, რომელიც გასულ დეკადაში 260 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

გასულ დეკადაში გამოფენას ეწვია დაახლოებით 800 უცხოელი დელეგატი და ტურისტი. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციები ჩამოვიდნენ შვეციიდან (60 კაცი) და ინგლისიდან (41 კაცი). უცხოელ სტუმრებს შორის ბევრია მუშა, მასწავლებელი, სტუდენტი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. (საკდესი).

## ქრონიკა

ა. წ. 10 აგვისტოს მოსკოვს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოვიდა ესტონეთის მიწათმოქმედების მინისტრი ბ-ნი ტუპიტსი სახალხო მეურნეობის სამინისტროს, სასოფლო-სამეურნეო პალატის, სამიწათმოქმედო ბანკის და სხვ. წარმომადგენლების თანხლებით.

ოქტომბრის ვაგზალზე ჩამოსულებს შეხვდნენ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ი. ფ. ვასინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. ა. პ. ვასიუკოვი, საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობათა აღმსრულებელი ამხ. ვ. ფ. სმირნოვი და ესტონეთის მისიის შემადგენლობა ელჩის ბ-ნ ა. რეის მეთაურობით. (საკდესი).

## გამოფენის მონაწილენი ზუგდიდს დაბრუნდნენ

10 აგვისტოს ზუგდიდში ჩამოვიდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა ერთი ჯგუფი, მათ შორის არიან: ჩაის მკრეფავი ცნობილი სტახანოველი ქიონია სარსანია, ორსანტიის მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ერანდია, ფერმის გამგე ორდენოსანი დისპინე მიქანაია, აგრონომი ჩოჩია, პარტრაიკომის მდივანი ამხ. კვარაცხელია და სხვები.

ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს რაიონის მოწინავე ადამიანებს. გამოფენის მონაწილეებმა დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილება. ინგირის კოლმეურნეობის წევრმა ქიონია სარსანიამ, ილაპარაკა რა გამოფენაზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე, აიღო ვალდებულება წელს მიაღწიოს დღიურად 300 კილოგრამამდე ჩაის მოკრეფას (სარსანიამ გამოფენაზე გამგზავრების წინ მოკრიფა 220 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, გამოიმუშავა 27 შრომადღე და მიიღო ფულად 194 მანეთი).

გამოფენის მონაწილემ სოფელ რუხის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სპირიდონ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა მთავარმა პავილიონმა, ასევე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა საქართველოს პავილიონმა, რომელიც ასახავს ორდენოსანი საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის გრანდიოზულ წარმატებებს.

ზუგდიდის პარტრაიკომის მდივანმა ამხ. კვარაცხელიამ დამსწრეებს უამბო გამოფენის დათვალიერების მეტად საინტერესო მომენტებზე. მან აღნიშნა, რომ გამოფენის მონაწილენი, ექსკურსანტები და პრესის მუშაკები დიდი ინტერესით ხვდებოდნენ ჩვენი რაიონის სტახანოველ ქალს ქიონია სარსანიას, რომელმაც ჩაის კრეფის რეკორდი დაამყარა.

კოლმეურნეებმა პირობა დასდეს კიდევ უფრო გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, მეტი ენერგიით და მონდომებით იბრძოლონ მოწინავე აგროტექნიკის დასანერგად, ახალ სასახელო გამარჯვებათა უზრუნველსაყოფად.

**ს. ებრალიძე**



საქართველოს ჩაის პლანტაციების მოწინავე, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. შ. ჯურჯენიძე ჩაის გორაკთან საქართველოს სსრ პავილიონის ტერიტორიაზე სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე.

## მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

### კიროვის რაისაბჭო ემზადება საბჭოების არჩევნებისათვის

კიროვის რაიონული საბჭო (ქ. თბილისი) გაცხოველებით ემზადება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის. თვითეულ ამომრჩეველთათვის სტალინური კონსტიტუციის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების შესწავლის მიზნით რაიონი დაყოფილია აგიტპუნქტებად; ჯერჯერობით შექმნილია 24 აგიტპუნქტი. უკვე შერჩეულია პროპაგანდისტები, აგიტატორები და მესაუბრეები მოსახლეობაში მასობრივ-საგიტაციო მუშაობის გასაშლელად. ზოგიერთმა მათგანმა არჩევნების დებულების შესახებ უკვე ჩაატარა დიასახლისთა შორის 2-3 საუბარი.

არჩევნების დებულება დამუშავებულია ყველა სადეპუტატო სექციის სხდომაზე. დეპუტატები თავის მხრივ შეუდგნენ მუშაობას და უბნებში საუბრებს ატარებენ სტალინური კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების შესახებ.

პირველი სექტემბრიდან დაიწყება დეპუტატთა მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარება.

რაიონული საბჭოს პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა სამდღიანი სემინარი, რომელშიც ჩაბმულია რაისაბჭოს ყველაზე უფრო მომზადებული 20 მუშაკი. სემინარის გავლის შემდეგ ისინი დიასახლისთა შორის დიდ მასობრივ-საგიტაციო მუშაობას გაშლიან.

მზადდება ახალი სარაიონო რუკა, ზუსტდება ქუჩების სახელწოდება, სახლებისა და ბინების ნომრები.

არჩევნებისათვის მომზადებულობის შეხვედრის მიზნით საკითხი დასმული იქნება 14 აგვისტოს წარმოება-დაწესებულებათა სადეპუტატო ჯგუფების, ხოლო 17 აგვისტოს ქვესარაიონო სადეპუტატო პლენუმების სხდომებზე.

არჩევნების დებულების მიხედვით უკვე დაიწყო რაიონის დაყოფა საარჩევნო ოლქებად.

გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს, თუ რამდენი ურნა, მაგიდა, სკამები და სხვა ინვენტარია საჭირო არჩევნებისათვის.

**ა. ბითაძე**
კიროვის სახელობის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი (საქდესი)

## არჩევნებისათვის მზადება ქუთაისში

**ქუთაისი**, 11 აგვისტო (საქდესი). ქუთაისში წარმატებით გაიშალა მზადება მშრომელთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნებისათვის. 10 აგვისტოს შესდგა საქალაქო თათბირი, რომელსაც დაესწრო სსრ კავშირის და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს არსებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები და წევრები, უბნებში მოსახლეობას შორის მომუშავე აგიტატორები, ქალაქის საბჭოს წევრები და აქტივისტები სულ 600 კაცის რაოდენობით.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნებისათვის მზადებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ჯინჭარაძემ. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს სსრ კავშირისა და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს მიღებულ გამოცდილებაზე და აღნიშნეს, რომ მოსახლეობაში მასობრივ-საგიტაციო მუშაობის ფართოდ გაშლით შესძლებენ მშრომელთა ადგილობრივ საბჭოების დეპუტატთა არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის მომზადებას.

## ივანე მიხეილის-ძე სეჩენოვი

(დაბადებიდან 110 წლის შესრულების გამო)

სეჩენოვი ეკუთვნის რუს ბუნებისმეტყველთა იმ სახელოვან პლეადას, რომელთაც რუსეთის ისტორიის სუსხიან პერიოდში შესძლეს არამც თუ აეთვისებინათ ყოველივე ის, რაც ამ პერიოდისათვის კაცობრიობას ჰქონდა მოპოვებული ბუნების მოვლენების კანონზომიერების დაუფლების საქმეში, არამედ ახალი სიტყვა სთქვეს და ეპოქა შექმნეს ბუნებათმეცნიერების სხვადასხვა დარგებში.



სეჩენოვს რუსეთის კულტურის ისტორიაში მეტად საპატიო ადგილი უჭირავს, როგორც გამოჩენილ მოღვაწეს ბუნებათმეცნიერების დარგში და რუსეთის ფიზიოლოგიის მამას. ი. სეჩენოვი დაიბადა 1829 წლის 1(13) აგვისტოს, მისი მამა იყო საშუალო შეძლების მემამულე, დედა კი გლეხის ქალი.

თოთხმეტი წლის ი. სეჩენოვი შეიყვანეს სამხედრო საინჟინრო სასწავლებელში. ეს სასწავლებელი მას არ დაუმთავრებია, რადგან პირდაპირობის, სიმართლის მოყვარულობის და გამბედაობის გამო სასწავლებლის დირექტორი მას ცუდი თვალით უყურებდა; დირექტორმა გადამწყვეტი გამოცდების დროს ისეთი ნიშნები დაუწერა ი. სეჩენოვს, რომ ეს უკანასკნელი შემდეგ კლასში გადასვლის ნაცვლად (რისთვისაც მაღალი ნიშნები იყო საჭირო) 1848 წელს გაწესებულ იქნა სამუშაოდ ქ. კიევში. კიევში ყოფნის დროს ი. სეჩენოვს ქ. მოსკოვში წასვლის და იქ სამედიცინო ფაკულტეტზე შესვლის სურვილი ებადება. იგი თავს ანებებს სამსახურს და 1850 წელს მიემგზავრება მოსკოვში, სადაც იგი თავისუფალ მსმენელად შედის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, ხოლო 1851 წელს, შესასვლელი გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, აღნიშნული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება.

სამედიცინო ფაკულტეტზე მეცადინეობის დროს ახალგაზრდა სტუდენტს იმდენად ძლიერ იზიდავს ფიზიოლოგია, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი სპეციალურად იწყებს ფიზიოლოგიაში მუშაობას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სტუდენტობის პერიოდში ი. სეჩენოვი გატაცებულია აგრეთვე ფილოსოფიური საკითხებით, ისტორიით. მისი გონებრივი ჰორიზონტი არ არის შემოფარგლული მარტო არჩეული სპეციალობით.

1856 წლის ივნისში ი. სეჩენოვი დოქტორანტის ხარისხით ამთავრებს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს და საზღვარგარეთ მიემგზავრება გამოჩენილ ფიზიოლოგებთან სამუშაოდ. საზღვარგარეთ ყოფნის დროს იგი უსმენს ლექციებს და მუშაობს ი. მიულერთან, ჰელმჰოლცთან, დიუბუა-რეიმონთან, ლიუდვიგთან და სხვებთან.

1860 წელს პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ იგი იცავს დისერტაციას და სამედიცინო აკადემიაში იწყებს ლექციების კითხვას ფიზიოლოგიაში. თავის ლექციებში ი. სეჩენოვი გაბედულად უარჰყოფს ნერვული პროცესების იდეალისტურ გაგებას, ასაბუთებს, რომ ყველა ის მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია ნერვულ პროცესებთან, შეიძლება გაგებულ და ახსნილ იქნას მატერიალისტური თვალსაზრისით. ლექციებს თან ახლდა კარგად მოწყობილი და ბრწყინვალედ შესრულებული ცდები, და პირველად რუსეთის სინამდვილეში ფიზიოლოგიის სწავლების დროს მსმენელებისათვის ეწყობა პრაქტიკული მეცადინეობა.

წარსული საუკუნის სამოციან წლებში მან აღმოაჩინა, რომ თავის ტვინში არსებობს ზურგის ტვინის რეფლექსების შემკავებელი ცენტრები. ეს ცენტრები ფიზიოლოგიაში სეჩენოვის ცენტრების სახელწოდებით არის ცნობილი, ამ შრომამ ავტორს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა.

1863 წელს ი. სეჩენოვი სწერს უდიდესი ღირებულების შრომას „თავის ტვინის რეფლექსები", რომელმაც გამოქვეყნებისთანავე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

ამ ნაშრომში გამოთქმული შეხედულებანი ახალი სიტყვა იყო ფიზიოლოგიურ ლიტერატურაში და ავტორი ამ შეხედულებებს გაბედულად უპირისპირებდა მეცნიერულ მისტიურს, ეკლესიის მიერ „ნაკურთხ" იდეალისტურ შეხედულებებს სულის შესახებ.

„თავის ტვინის რეფლექსები" მთლიანად მატერიალისტური ნაწარმოები იყო.

„თავის ტვინის რეფლექსებმა" საფუძველი ჩაუყარა ახალ თავს ფიზიოლოგიაში—მოძღვრებას უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ.

თუ თავის ტვინის რეფლექსებს რუსეთის საზოგადოებრიობის პროგრესიული ნაწილი აღტაცებით შეხვდა, რეაქციულმა წრეებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, განგაში ასტეხა.

„თავის ტვინის რეფლექსების" გამოქვეყნებამ ი. სეჩენოვით ისედაც უკმაყოფილო რეაქციული წრეები ძლიერ აამხედრა, ხოლო ხელისუფლებამ სეჩენოვი არასაიმედო პირთა რიცხვს მიაკუთვნა.

ზემოთ აღნიშნული შრომების გარდა ი. სეჩენოვის კალამს ეკუთვნის ასზე მეტი ნაბეჭდი შრომა. მეცნიერული კვლევა-ძიების პროცესში მისი ყურადღება და ინტერესი უმთავრესად მიმართული იყო ცენტრალური ნერვული სისტემის ფიზიოლოგიისა და სუნთქვის პროცესის ქიმიზმისაკენ. როგორც პირველი, ისე მეორე საკითხის ირგვლივ სეჩენოვის აღმოჩენანი მსოფლიო ფიზიოლოგიურ მეცნიერებაში დიდ საგანძურს წარმოადგენენ.

ი. სეჩენოვის პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობის დროს დაისვა საკითხი მეცნიერებათა აკადემიის წევრად მისი არჩევის შესახებ, მაგრამ ამ საქმეში ხელისუფლების ჩარევის გამო სეჩენოვის კანდიდატურა მოხსნეს. 1887 წელს წამოიჭრა საკითხი ი. სეჩენოვისათვის დამსახურებული პროფესორის სახელწოდების მინიჭების შესახებ, მაგრამ არც ამ შემთხვევაში იქნა მიღებული ხელისუფლების დასტური.

1903 წ. სეჩენოვი მიიწვიეს ფიზიოლოგიაში ლექციების საკითხავად მუშათა კურსებზე. ამ კურსების შესახებ სეჩენოვი თავის ავტობიოგრაფიულ ნაწერებში დიდი აღტაცებით ლაპარაკობს. დიდი სიხარულით და მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა იგი ლექციების კითხვას, მაგრამ 1904 წლის 9 თებერვლის თარიღით კურსების ხელმძღვანელის სახელზე მოვიდა ბრძანება, რომლის თანახმადაც სეჩენოვს ეკრძალებოდა ხსენებულ კურსებზე ლექციების კითხვა.

ასე დამთავრდა დიდი პედაგოგის და გამოჩენილი ფიზიოლოგის პედაგოგიური მოღვაწეობა. 1905 წელს 75 წლის მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ შემოქმედებითი ენერგიით სავსე ი. სეჩენოვი ავად გახდა ფილტვების ანთებით, რომელსაც მოხუცის ორგანიზმმა ველარ გაუძლო.

ასე დასრულდა თავისი სიცოცხლის გზა სახელოვანმა მეცნიერმა, რომლისთვისაც თვითმპყრობელობის პირობებში მეცნიერებათა აკადემიის კარი დაკეტილი აღმოჩნდა.

გავიდა წლები. ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხებმა დაამსხვრიეს ყოველგვარი მონობის და ექსპლოატაციის ბორკილები. საბჭოთა კავშირი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნად გადაიქცა. რუსეთის ფიზიოლოგიის მამამ — ივანე მიხეილის-ძე სეჩენოვმა ღირსეული შეფასება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების ტრიუმფის ხანაში ჰპოვა.

**მ. სააკაშვილი**

ა.-წ. 15 აგვისტოს დღის 12 საათზე თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში მოწვეულია

**საქნავთის ტრესტის სამეურნეო აქტივი**

შემდეგი დღის წესრიგით:

1. საქართველოს და უკრაინის ნავთის მუშაკთა შორის მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ (მომხსენებელი ამხ მგელაძე).

2. საქნავთის ტრესტის საწარმოთა საფინანსო საქმიანობის შესახებ (მომხსენებელი მთავარი ბუღალტერი ამხ. სერგიანოვი).

**საქნავთის ტრესტის მმართველი ა. მგელაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება

## პირველი ნაბიჯები

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგი ჟდანოვი მიუთითებდა: „[illegible] მნიშვნელობას აკუთვნებს აგრეთვე იმას, რომ სამქროთა პარტიულ ორგანიზაციებს მიენიჭოთ უფლება აირჩიონ — განსაზღვრულ პირობებში, სახელდობრ, თუ პარტიის არანაკლებ 15 წევრია, — სამქროს პარტორგანიზაციის ბიურო“. ყრილობამ პარტიულ წესდებაში შეიტანა სამქროს პარტორგანიზაციების ეს უფლება.

სამქროთა პარტორგანიზაციების ბიუროების არჩევნები და მათი პირველი ნაბიჯები ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი როლი შეუძლიათ ითამაშონ მათ პარტიული მუშაობის შემდგომი ამაღლების საქმეში.

სამქროს პარტორგანიზაციის ბიუროს არჩევნები ჩვენთან, ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის სახელოსნოში ამასწინათ ჩატარდა. ბიუროში 5 კაცი იქნა არჩეული და მათ შორის მეც. ორი ამხანაგის გამოკლებით ყველანი პირველად ვართ არჩეული ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოში, და აი დაიბადა კითხვა: რით დავიწყოთ?

მოვითათბირეთ ბიუროს წევრებთან ერთად, გადავხედეთ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მიღებულ ღონისძიებებს.

საავიტაციო მუშაობა უკანასკნელ ხანებში ჩვენთან შესუსტებული იყო და უმთავრესად ამოიწურებოდა გაზეთის კითხვით. საუბრები მშრალად და მოსაწყენად ტარდებოდა, მსმენელებს ნაკლებად იზიდავდა. გადავათვალიერეთ აგიტკოლექტივი, — თითქმის ყველანი უნარიანი და მცოდნე ამხანაგები არიან: წივილაშვილი, — სახელოსნოს ტექნიკური ხელმძღვანელი, ინჟინერი, ჰანტურია — მექანიკური სამქროს უფროსი ინჟინერი და ა. შ. მოვიწვიეთ ისინი, ვეთათბირეთ, თუ როგორ მოვაწყოთ უკეთესად საავიტაციო მუშაობა.

ამ დღეებში დავამთავრეთ პარტჯგუფორგების არჩევნები ცალკე სამქროებში. საქ. კ. პ. (ბ) წესდებით სამქროს პარტიული ორგანიზაციებს, თუნდაც იქ 100 კომუნისტზე ნაკლები ირიცხებოდეს, უფლება მიენიჭათ შექმნან პარტიული ჯგუფები საწარმოს ბრიგადებისა და აგრეგატების მიხედვით. ჩამოვაყალიბეთ 7 პარტჯგუფი. ჯგუფორგებად არჩეულ იქნენ კარგი აქტივისტი კომუნისტები: აბრამიანი, სისოიანი, ოშხარელი, დალაქიშვილი და სხვ.

ბიუროს მუშაობა მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო უკეთესად შევძლებთ დავრაზმოთ ჩვენს გარშემო ახალი პარტიული აქტივი. პარტიული კრებისათვის საკითხების მომზადებისას დიდ დახმარებას მიწევს ამხანაგების წინადადებები. ხშირად მათ ვავალებ შეისწავლონ ესა თუ ის საკითხი და მოახსენონ ბიუროს.

ჩავატარეთ იმ ამხანაგების თათბირი, რომელნიც ინდივიდუალურად სწავლობენ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს. ამხანაგებმა მრავალი მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენეს. ჩვენ გავეცანით, თუ ვის რაში ესაჭიროება ამ მხრივ დახმარება. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ მოვაწყოთ კომუნისტთა წინადადებების გატარება.

მუშაობის პირველ დღეებში მწვავედ განვიცადით ჩვენი პირველადი ორგანიზაციის ბიუროსა და რაიკომის მხრით დახმარების საჭიროებას. სამქროს პარტორგანიზაციების ბიუროების წარმატებანი მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რაც უკეთ იქნება დაყენებული კონკრეტული დახმარება და ხელმძღვანელობა ზემდგომი პარტიული ორგანოების მხრით.

**გ. რაზმაძე**

ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის სახელოსნოს პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

## თეორიულ კონფერენციებს მოუმზადებლად ატარებენ

(თელავი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

თელავის ძაფსალებ ფაბრიკაში ამასწინათ ჩატარდა თეორიული კონფერენცია. თეორიულ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი ამხ. ა. სტეფანოვი თემაზე — „ბოლშევიკების პარტია მუშათა მოძრაობის აღმავლობის წლებში პირველი იმპერიალისტური ომის წინ“. მომხსენებელი კარგად იყო მომზადებული. ეტყობოდა, რომ ბევრი უმუშავნია თემის დაძლევისათვის.

მაგრამ თეორიული კონფერენცია ძალიან უფერულად ჩატარდა. ძლიერ ცუდი იყო დასწრება. ისინიც, რომლებიც კონფერენციას ესწრებოდნენ, ისხდნენ როგორც მოწმენი. მოხსენების გარშემო მხოლოდ ორმა ამხანაგმა შემოიტანა შეკითხვა, აზრი კი მოხსენების ირგლივ არავის არ გამოუთქვამს; უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ინდივიდუალურად მომუშავე ამხანაგებს თემის მომზადებაში თელავის პარტკაბინეტი საკმარისად არ დახმარებია. საჭირო იყო პარტკაბინეტს საკუთრად ქარხნის კომუნისტებისათვის მოეწყო როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური კონსულტაციები, რაც აუცილებლად დიდ დახმარებას გაუწევდა მათ. მაგრამ ეს რატომღაც არ გაუკეთებიათ.

კიდევ უფრო უხალისოდ ჩატარდა თეორიული კონფერენცია რაიალმასკომის პირველადს პარტორგანიზაციაში. თეორიული კონფერენციის დაწყებამდე თითქმის ერთ საათს დაობდნენ იმაზე, თუ როგორ ჩაეტარებინათ თეორიული კონფერენცია. ამხანაგები წინასწარ არ იყვნენ გარკვეულნი თეორიული კონფერენციის მნიშვნელობაში და მისი ჩატარების ორგანიზაციაში. ამხანაგების ერთი ნაწილი იმ აზრს იცავდა, რომ წინასწარ შერჩეულ მომხსენებელს დაესვა კითხვები და დანარჩენებს გაეცათ პასუხი. ხოლო დანარჩენები მოითხოვდნენ ჯერ მოესმინათ მოხსენება და შემდეგ გაემართათ თეორიული საკითხების გარშემო სჯა-ბაასი. როგორც იყო, შეთანხმდნენ იმაზე, რომ ჯერ მოხსენება მოესმინათ და შემდეგ გაემართათ კამათი.

თეორიული კონფერენციები, უდავოა, დიდ შედეგს იძლევიან, მხოლოდ საჭიროა მათი კარგად მომზადება და ხელმძღვანელობა.

**შ. მაჭავარიანი**

## იზრდება სოფლის პარტიული ორგანიზაციები

ასპინძის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლშევიკურად გაშალა მუშაობა პარტიაში სოფლის მოწინავე ადამიანების მიღებისათვის, კოლმეურნეობებთან პარტიული ორგანიზაციების შექმნისათვის.

მიმდინარე წლის დასაწყისში რაიონში სულ იყო 11 პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ეს ორგანიზაციები აერთიანებდნენ პარტიის 79 წევრსა და 57 კანდიდატს. ამჟამად რაიონში არის 16 პირველადი პარტორგანიზაცია, სადაც ირიცხება პარტიის 118 წევრი და 115 კანდიდატი.

პარტიაში შედიან ლენინ-სტალინის საქმის ერთგული ადამიანები: მოწინავე კოლმეურნეები, სოფლის მასწავლებლები, ექიმები და სხვ. ამ რამდენიმე ხნის წინათ რაიკომმა დაამტკიცა სოფ. ვანის დაწყებითი სკოლის მოწინავე მასწავლებლის ლ. ბაზარაშვილის მიღება პარტიაში. პარტიაში შევიდნენ აგრეთვე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ამხ. მაისურაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ჩალაშოვი, ექიმი მ. ჟუჟელაშვილი, ა. თურმანოვი და სხვ. [illegible] მარქსის სახელობის, სოფელ ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის და სხვ. საკოლმეურნეო პირველადმა პარტორგანიზაციებმა კარგად მოაწყეს პარტიის რეზერვებთან მუშაობა. ამის შედეგად ეს პირველადი ორგანიზაციები სწრაფად იზრდებიან კოლმეურნეობების საუკეთესო ადამიანების ხარჯზე.

მაგრამ რაიონში მოიპოვებიან ისეთი პარტორგანიზაციებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პარტიაში ახალ წევრთა მიღების მხრივ. მაგალითად, სოფ. ტოლოშის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში ახლად მიღებულია მხოლოდ 6 ამხანაგი. რაიკომმა მოისმინა ამ პარტორგანიზაციის მდივნის მოხსენება და დაუსახა მას ღონისძიებანი მუშაობის გარდაქმნისათვის.

პარტიაში მიღება ხდება მტკიცე ინდივიდუალური შერჩევის საფუძველზე. რაიკომი გულდასმით სინჯავს პარტიაში შემსვლელთა საქმეებს, ასწორებს პირველადი ორგანიზაციის მიერ დაშვებულ შეცდომებს.

**ა. ფარაჯოვი**

საქ. კ.პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანი.

## კომუნისტთა უდიდესი აქტივობით

ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის ბიუროს დადგენილების საფუძველზე ა-კ. რკინიგზის სამმართველოში ჩამოყალიბდა პარტორგანიზაციები საქ. კ. პ. (ბ) წესდების შესაბამისად. ამისათვის სამმართველოს 21 სამსახურსა და განყოფილებაში მოწვეულ იქნა პარტჯგუფების კრებები, რომლებზეც მოისმინეს პარტორგების საანგარიშო მოხსენებანი. კრებები კომუნისტთა უდიდესი აქტივობით ჩატარდა, მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო დამსწრეთა ნახევარზე მეტმა.

კადრების მომზადების განყოფილების პარტიული ჯგუფის კრებაზე მკაცრად გააკრიტიკეს ყოფილი პარტორგი ამხ. ტ. ქართველიშვილი. აღინიშნა, რომ მან ვერ უზრუნველჰყო პარტიული მუშაობის გაშლა განყოფილებაში, სათანადოდ ვერ მოაწყო ბრძოლა გზათა სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანებების დროულად განხორციელებისათვის. ასევე მოურიდებლად გააკრიტიკეს ელექტროფიკაციის განყოფილების კომუნისტებმა პარტორგის ამხ. წერეთლის განვლილი მუშაობა. პარტორგს უსაყვედურებდნენ კადრების განაწილების სუსტად დაყენებას, უყურადღებობას პარტიის წევრებისა და კანდიდატების პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმის საქმისადმი; კადრების მომზადებისა და ელექტროფიკაციის განყოფილებების პარტორგების მუშაობა სუსტად ჩაითვალა.

გაცხოველებული კამათი გაიმართა აგრეთვე მიღება-დათხოვნის განყოფილების და სალიანდაგო სამსახურის პარტჯგუფების კრებებზე. კერძოდ, სალიანდაგო სამსახურის პარტორგს ამხ. საფრონჩინს უსაყვედურეს თავდაცვითი მუშაობის სუსტად გაშლა. მთელმა რიგმა ორატორებმა გააკრიტიკეს რკინიგზის სამმართველოს პარტორგანიზაციის (პარტბიუროს მდივანი—ტ. მაღრაძე) მუშაობის ნაკლოვანებებიც. კრებებზე დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს განყოფილებებსა და სამსახურის ცალკე დარგებში საქ. კ. პ. (ბ) წესდების საფუძველზე ჩამოყალიბებულია 31 პარტიული ორგანიზაცია. ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებაში და გაზეთ „ბოლშევისტსკაია პუტიოვკას“ რედაქციაში არჩეულ იქნა პარტიული ბიუროები, დანარჩენ განყოფილებებსა და სამსახურის დარგებში კი პარტორგანიზაციის მდივნები. გარდა ამისა, ჩამოყალიბებულ იქნა 4 პარტკომკავშირული და ერთი საკანდიდატო ჯგუფი.

**ი. მაღრაძე**



თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა. სურათზე: საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის მეცადინეობა. მეცადინეობას ატარებს ორჯონიკიძის სახ. რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ა. ნ. თოფურია (მარჯვნიდან პირველი).

საქძეხის ფოტოქრონიკა.

**ვ. გოგისვანიძე**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი.

## სამქროთა პარტორგანიზაციებს მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ მიიღო პარტიის წესდება, რომელიც ითვალისწინებს სამქროებში, უბნებსა და განყოფილებებში პარტიული ორგანიზაციების შექმნას იმ საწარმოებსა, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში, რომლებშიაც 100-ზე მეტი კომუნისტი ირიცხება.

პარტიის წესდების ამ დებულების შესაბამისად საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომმა მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში (ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტი, თბილისის მაუდის ფაბრიკა, თამბაქოს ფაბრიკა და სხვ.) ჩამოაყალიბა სამქროების პარტიული ორგანიზაციები. ამისათვის სამქროებში ჩატარდა კომუნისტთა კრებები, რომლებზედაც მოისმინეს პარტორგების საანგარიშო მოხსენებანი (სადაც არსებობდა პარტჯგუფები) და აირჩიეს სამქროთა პარტიული ორგანიზაციის ბიუროები.

პარტიული ბიუროები არჩეულია სულ 19 სამქროში. სამქროთა პარტბიუროების შემადგენლობაში არჩეული არიან ახალგაზრდა, პრაქტიკულ მუშაობაში შემოწმებული კადრები, სულ 89 ამხანაგი. მათგან 33 კაცი წარმოების მოწინავე სტახანოველია. 52 ამხანაგი პირველად არის არჩეული ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოში.

სამქროების პარტიული ორგანიზაციების შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს სამქროში პარტიული მუშაობის გაძლიერებას, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას, საწარმოს გეგმების გადაჭარბებით შესრულებას და უპარტიოთა შორის პარტიული ორგანიზაციის გავლენის შემდგომ ზრდას.

მაგრამ ახლად არჩეულ პარტბიუროებს, რომელთა ხელმძღვანელებად ახალგაზრდა, პარტიულ მუშაობაში ნაკლებად გამოცდილი ამხანაგების საგრძნობი რაოდენობაა არჩეული, ესაჭიროებათ სერიოზული დახმარება რაიკომის მხრივ, რათა მათ სათანადოდ წარმართონ პარტიული მუშაობა, ჩააბან სამქროს კომუნისტები პარტიულ-პოლიტიკურ საქმიანობაში, განახორციელონ კოლექტიურობა პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში. ამ მიზნით სტალინის რაიკომმა ახლად არჩეულ პარტბიუროებს მიამაგრა რაიკომის შტატისა და შტატგარეშე ინსტრუქტორები პარტბიუროებისა და პარტორგანიზაციათა მდივნებისათვის პრაქტიკულ მუშაობაში დახმარების გასაწევად.

შემდეგ, მუშაობის პირველი გამოცდილების გაზიარების მიზნით მიმდინარე წლის ივლისში რაიკომმა ჩაატარა სამქროების ბიუროების მდივნებისა და პარტორგების თათბირი. თათბირმა გვიჩვენა, რომ ახლად არჩეულმა პარტბიუროებმა და პარტორგანიზაციის მდივნებმა ახალი წესდების საფუძველზე ერთგვარად გააუმჯობესეს მუშაობა.

თბილისის ტრამვაის სახელოსნოების პარტბიუროს ახლად არჩეულმა მდივანმა ამხ. რაზმაძემ პირველ რიგში ყურადღება მიაქცია სამქროს კომუნისტების პარტიულ-საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას, ყველა კომუნისტს მისცა პარტიული დავალება, შეარჩია და მუშაობაში ჩააბა აგიტატორები, აგრეთვე რამდენჯერმე მოისმინა პარტბიუროს სხდომაზე სამქროს უფროსის მოხსენება საწარმოო გეგმის შესრულებისა და სტახანოვური მეთოდებით მუშაობის დაყენების შესახებ. ამგვარად პარტიული ორგანიზაცია პრაქტიკულად შეუდგა ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლების განხორციელებას. ამან დადებითი გავლენა მოახდინა საამქროს მუშაობაზე, ივნისის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

მაუდის ფაბრიკის საქსოვი საამქროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. კვანტალიანმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამქროში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისა და პარტიული პროპაგანდის დაყენების საკითხებს. მან ჩაატარა პარტიის ისტორიის უკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების თათბირი ინდივიდუალური მეცადინეობის გამოცდილების გაზიარების მიზნით და დაეხმარა მათ თავიანთი იდეური დონის ამაღლების საქმის უკეთ დაყენებაში.

თამბაქოს ფაბრიკის პაპიროსის ჩამწყობი სამქროს პარტბიუროს მდივნად არჩეულია მოწინავე სტახანოველი ამხ. ი. ხუდადოვი. იგი გეგმის შესრულებისათვის თავდადებული ბრძოლის მისაბაძ მაგალითს უჩვენებს, გეგმას 125%-ით ასრულებს, მის მაგალითს ჰბაძავენ დანარჩენი კომუნისტებიც და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ამხ. ხუდადოვი პარტიული მუშაობის უკეთ დაყენებისათვის რჩევა-დარიგების მისაღებად ხშირად მიმართავს ფაბრიკის პარტიულ კომიტეტს და რაიკომს. იგი წინასწარ გულდასმით ამზადებს პარტიული კრებისათვის საკითხებს, ცდილობს პარტიულ მუშაობაში მონაწილეობა მიიღებინოს ყველა კომუნისტს, ხშირად ამოწმებს, როგორ ასრულებენ პარტიის წევრები და კანდიდატები მიცემულ დავალებებს და ეხმარება მათ მუშაობაში.

თათბირზე მთელი რიგი ამხანაგები გამოვიდნენ სიტყვებით თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ. სამქროთა პარტბიუროების პირველმა გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა, რომ სამქროს პარტიული ორგანიზაციები სავსებით ამართლებენ თავიანთ ამოცანებს. მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სწორად შეთავსებას სამეურნეო საქმიანობასთან, კომუნისტთა აღზრდას კოლექტიური ხელმძღვანელობის სულისკვეთებით და მათი ავანგარდული როლის შემდგომ ამაღლებას.

რაიონული კომიტეტი და საწარმოთა პარტიული ბიუროები სისტემატურად უნდა დაეხმარონ სამქროს პარტორგანიზაციათა ხელმძღვანელებად ახლად დაწინაურებულ ამხანაგებს პარტიული მუშაობის სწორად წარმართვაში. ეს დახმარება ისე უნდა მოეწყოს, რომ ყოველმხრივ გაიშალოს მათი ინიციატივა, გაბედული თაოსნობა. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ ახალგაზრდა კადრების იდეურად აღზრდას, მათი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, დავეხმაროთ მათ ბოლშევიზმის სახელოვანი ისტორიის ღრმად შესწავლაში.

**გიორგი ლეონიძე**

# ძველი გორი

პოემიდან „ბელადის ბავშობა და ყრმობა“.

1.

აი, ქალაქი შემოჭანდრული,
ვერხვის ფოთლებში გამოხვეული;
აქ ზენაქარი, ჟღერს ვით ფანდური, —
თავყრილიან მთაში რხეული...

დჩუქურთმული აივანები,
ზედ ხეივნებად ვაზი გასული;
ზოგან კრამიტი, ზოგან ბანები,
ძველი კედლები ჩამოგაზული...

ქალაქს დასცქერის უზარმაზარი
ციხე ხერხემალ-გადატეხილი...
ძირს დაფანტულა დუქან-ბაზარი:
გოდრის თევზი და თაბახზე — ხილი...

აქ, ამ დაზგებზე გორელ ფალავნებს
ძვალმსხვილი მაჯა დაემკვრივებათ;
ინდოეთისკენ მავალ ქარავნებს
აქ ჩაუვლიათ წეროს მწკრივებათ.
რომს გაუზიდავს თვალმარგალიტი,
აზიის ფარჩა და ყალამქარი...
აქ, ყველიერში — კრივის ყიჟინით
ფხიზლდება ხოლმე ძალა გაძქრალი
და ჭიდაობას ეშხით და ჟინით,
შეხვდება ზურნით გორის ამქარი...

ჰაპნის ჭრიჭლი... იტლის ხმაური...
მემაწვნე ბიჭის ჩქარი ძახილი...
ღლისით დგას ერთი აურზაური,
სალამოობით ბლავის ნახირი...

ირგვლივ მინდორი ღელავს ბარაქით,
მტკვარზე გაისმის წყნარი „ტიური“,
შხუის ლიახვი და სთვლემს ქალაქი
დიდი ვერხვებით გადაჩრდილული...

2.

მაგრამ არ სძინავს... ცეცხლზეა მდგარი,
ვით დახურული ქვაბი მდუღარე...
უნდა იფეთქოს... შეჰკივლებს ქარი
და ხან ლიახვი დაიმქუხარებს.

კოშკის ნაშთიდან ხმა დაიძახებს,
მისი ვაება ადის ცათამდი...
— შვილო ზურაბ, სადამდი?
— ვაიმე დედავ, გავთავდი!

ორ ყრმას ეძახის, ორ პაწაწინას,
უპასუხობით განწირულია...
ერთს — ცრემლნადინარ ტბის ძირში სძინავს,
მეორე — კოშკში ჩაკირულია...

— ნეტავ ნათელი კიდევ მაჩვენა,
როდის მოყვება გაზაფხულს წერო?
მინდა გავშალო ჩემი მარჯვენა,
ვაშენო, შევქმნა, ვიმღერო, ვწერო!

უსაქმოდ გდია ჩემი წერაქვი,
ჩემი სახნისი პირდაჟანგული,
ჩემი ხმალი და რკინის პერანგი,
ჩემი დროშა და ჩემი ჩანგური.
გულალმა გდია ჩემი ქვეყანა,
წელში მონობით ამოჩანგლული...

პასუხის ნაცვლად, — უღლის სიმღერა —
შეეკვნესება ღამეს ურმული;
ნაცეხარებზე ფარფატებს ღამე,
თვალებში წყვდიად გამოსურმული.

ამ ბნელს ვერ დასძრავ ვერც ქარიშხალით,
ვერც ბუკის ცემით, ვერც ხმოვანებით,
მხოლოდ იმედით ხმას აჟღერებენ
ბაზალეთური ლერწმოვანები...

და მწვერვალების თითისტარებზე
ამოახვევენ ღრუბლებს ქარები;
შიგ ელვას ჰქსოვენ, შიგ მეხს აწყობენ,
შიგ მოაწყურეს ნიაღვარები...

3.

გაჰქრა ღამის მოჩვენება
ცას დაიჩნდა ნათლის ბზარი,
გორის მაღალ გუმბათებზე...
ირეკება ცისკრის ზარი...

ყაზარმაში აქუხდება
ჩიქმიანი მეფის ჯარი,
მოლაპლაპე ხიშტის ქნევით
სხვის მიწაზე მაბიჯარი...

გაიგონებს პატრიოტი,
მუშტს დაირტყამს მკისვე გულზე.
აქეთ-იქით იხედება,
ჯაშუში ხომ არსად უმზერს:

— თენდება და მაინც ბნელა;
ღამეა და ჰქვიან დილა;
უპატრონო, დაბმული დრო,
სად სიცრცხლე მიბნედილა...

— მოგვატყუე რუსის მეფევ,
დილას გთხოვდით, გვაძლევ ღამეს...
ლომს დაგვხსენი, აფთარს მიგვე,
ქრისტეს რჯული დაგვამხამე!..

შენს წინ ვცეკვავთ ბორკილებში
გულმწარე და პირმღიმარი;
ჩვენი დროშა ცირკში მიგაქვს —
ათას წლობით ნაომარი.

ჩვენი მიწა პირში მიგაქვს,
ჩვენი ენა — სამარეში;
სუნთქვას გვიხრჩობ სალრჩობელით,
რადგან გიყვარს მხოლოდ ლეში...

გვიბნელებ მაგრამ გავაღწევთ,
გზას ბრძოლით გავეტარებით,
გვინათებს — წინაპართ ხმლებზე
მბრწყინავი კლდეპტარები...

წინ გვიძღვის აკლდამის შუქი...
გმირთა ჩონჩხები მიშველი —
ასპინძის... კრწანისის ველის...

4.

აი, ქუჩა კვირა დილის,
ჭრელი ხალხით დაიტვირთა,
ჯერ კნეინა ჩამოივლის
შუშაბანდის ვარდივითა.

მერე მოჭრის შორიდანა
ლეჩაქგრძელი პორიკანა,
ჭორის ბარგით დაქანცული...
განა, მართლა ქალი არი? —
სტამბა არი ფიხმდგარი
და ქუჩაში გამოსული!

5.

ეს ვინ ჰყვირის — „გადამიშვით“.
კაცია თუ ქარიშხალი?
გზა მიეცით თავადიშვილს,
წელთ ჰკიდია წყვილი ხმალი...

მეხის გადმონახეთქია...
მოერიდეთ ქუჩის არწივს!
მისთვის იმ დღეს რა დღე ჰქვიან,
თუ პურს არ სთოვს, ღვინოს არ წვიმს...

თუ აზიას ხმლით სთელავდა
მისი ძველი წინაპარი,
დღეს ის სოფლებს აჩიავებს,
აშკარათ და ხანაც პარვით.

გულმაღალი, დიდისმთქმელი
საქართველოს „სულისმდგმელი“...
რა ნაშრომის ნაფასურით
დაქეიფობს დაფაზურნით?..

საზანდრების დასტა დასდევს,
მათთან სძინავს, მათთან ათევს,
ჩხუბისათვის უხურს გული...
მისი მკლავის ისმის ქება,
მისი ცხენი ყალყზე დგება,
ძუა-ფაფარ განასკული...
ხელმათრახა, ხელკომბალა,
ახლავს მჭადა აზნაური,
(ბუქს ჰყრის მისი ნაგზაური) —
სულ ღია აქვს მუდამ პირი,
სულ სისხლი აქვს საზღაური...

გაფცქვნილი და გაწკეპილი...
გადაღვრილი რომ აქვს ტვინი,
ჭკუა კიდევ გაფრენილი...

ჩაყრილ ჯამთან უყვარს ჯდომა,
უყვარს მუშტის გასისხლება;
ხანჯალს გვამში გაატარებს,
სისხლი ზედ არ წაეცხება...

თუმცა ბედი გაუხუნდა,
არც ჩოხა აქვს თავის ფერზე,
მაგრამ ბუზი აეცმება
მის ულვაშის ნაგრიხ წვერზე.
— დალიე, დამალევინე!
— დაცალე, დამაცლევინე!
— იხარე ძმერო!
— მოკვდი მტერო!

მაგრამ მტერი არა კვდება,
ეშმაკი და აბეზარი,
და ყოველდღე „გმირს“ აკლდება
ზვარი, ტყე და ნაფუზარი...

6.

მტერი დახლთან გაჭიმული
შორს უჭირავს ქორის თვალი, —
კერის ცეცხლის გამქრობია,
ქიანჭველის მორიდალი...

ოქროსყიდულ სიტყვას გეტყვის,
თან ჯიბეში გივარდება;
ხატებს ფიცით ჩამოიღებს,
ძმადაც ჩაგთვლის ღვიძლნადებათ;

მერე შეგკრავს გრძელი თოკით
უმოწყალო, სისხლის გუდა,
მჭადგახვეულ გლეხებს სწუწნის
მისი ბნელი აბლაბუდა...

დღე არი, რომ წელიწადს სჯობს,
წელიწადი ხან დღეთ არ ღირს.
მოინდომებს — ქალაქს შეჰკრავს,
ისევ გახსნის ბაზრის ძარღვი.

ქართლის ოფლის მომწოველი,
ოსტატია ძველის ძველი;
ხანძარია — ვენახების
და მინდვრების გადამწველი!..

7.

მოდის გლეხი ქართლის ფუძე,
წვივშავი და დაშუშხული,
აღარც ახსოვს, თუ როდიდან
აქვს ცხოვრების გზა დახშული.

დიდ ტივის ხეს ასწევს მარტო,
კლდეს მოჰგლეჯავს მთის დამხვნელი,
ყლაპიას კი — უსამართლოს,
ვერ შეჰბედავს მისი ხელი.

— იტყვის იგი: ღორს ჰგავს გლეხი,
მასაც უყვარს ლაფში გდება...
ხელს მოუჭერ — დაიჭყივლებს,
გაუშვებ და — გაჩუმდება...

— შავია და მყრალი არი
გლეხის სისხლი, გლეხის დვრიტა,
ჩვენი სისხლი წითელია
და სურნელი ვარდივითა!..

ჰბუტმლავს, ჰკარკლავს, ჰქოჩრავს ყველა, —
ხელმწარე და ჭკუა მწყრალი...
ზუზუნებენ მათრახები:
„ვაი, ღლდიშენის ბრალი“.

8.

ზის დაზგასთან ხელოსანი,
თვალს იწყალებს გულჩამკვდარი;
ცხელს გულს მას ვერ გაუგრილებს
გორის გრილი ზენაქარი.

სიგრძე დღისა — სიცხე მზისა,
მის ჯანს ხდნიან დაუნდობლად,
ცოლშვილი ჰყავს დამშეული
და მშობლები კიდევ სოფლად.

იცის, იცის, მისი ხელი
თუ ვისათვის იშაშრება;
ზღვას თუ წყალი არ შეუვა,
გულზვიადი ზღვა დაშრება...

ჰფიქრობს მალე გათენდება
განზრახული გაზაფხული?
დროს რა ძალა ჩამოსძაფავს,
ან დროს რა აქვს დასახული!

9.

მაგრამ ქუჩას გადმოივლის
წვერიანი ხალხოსანი...
ერთმა იცის, რომ ტანჯულთა
გამარჯვება ახლოს არის.

გლეხს ამხნევებს: გადაწყდება
მებატონის მწვავე შოლტი
მას ამხნევებს ჩერნიშევსკი,
ბიუხნერი, მოლეშოტი...

მას ბევრი ჰყავს ამხანაგი
ხალხისათვის სურთ სიკეთე;
მათ წვერებში არხეინათ
ჩიტი ბუდეს გაიკეთებს.

მოწიწებით შეჰყურებენ
შავს მიწაზე გლეხის ფართხალს
დასტირიან ქოხს მობრეცილს,
ბუნაგივით ამონათხარს.

დასტირიან გლეხის ყანას
სხვის ქუსლით რომ ითელება,
და მეტივე-მეჭურჭლეებს
ამხადებენ მიმდევრებად...

ბჯანყების მოლოდინში
სწერენ გეგმებს სადღაც, ღამით,
და გარიბალდს — გამარჯვებას
ულოცავენ ტელეგრამით:

„მოგვილოცავს, გკოცნით ლომო.
ჩვენც ავდგებით მალე ზეზე!“
ილიმება გარიბალდი
და რუქაზე გორს დაეძებს...

10.

სავსე არის სამკითხველო
ჟანდარმების შეთვალულით...
არც ასეთი უდაბნოა
გორი — ქართლის მეთაური...

აქ ფარულად იზარებენ
რუსეთიდან ნაკრძალ წიგნებს,
თესლს მიიღებს ახალგაზრდა —
ქართლის ხნულში გადაიქნევს...

და ხმა ისმის თითქოს სადღაც,
კბილთა ღრჭენა, ხრიალი...
— ეს წარსული ყელწამჭრელი
ზღვაში მიაქვს ხმიან ლიახვს...

ჰაერში დგას ბრძოლის სუნი...
„დღეს მერცხალმა შემომძახა:
გაზაფხული, გაზაფხული
გულს იმედი ჩამესახა!..“

11.

გორიჯვარზე დგას ვინმე ყრმა:
— ქართლზე რარიგად ბნელაო!
„არ გვეშველება, თუ ერთ დროს
სისხლად არ იქეც მელანო!“

. . . . . . . .
. . . . . . . .

ყრმას ხელში წიგნი უჭირავს
და დროშის ფარჩა თითებში;
შორს მოშავალი ელვარებს
ლაჟვარდის განაკიდეში...

# საომარი მოქმედება ჩინეთში

[illegible]

## ცენტრალურ ჩინეთში

[illegible]

## სამხრეთ ჩინეთში

[illegible]

იაპონელები განაგრძობენ ახალი დესანტის გადასხმის ცდას გუანდუნის პროვინციის სანაპიროზე. კანტონის რაიონში იაპონელები ცდილობენ დაანგრიონ ჩინელების მიერ ჩადგმული ღობურები მარგალიტის მდინარის შესართავში. უცხოელების ცნობებით, ჩინელებმა შესძლეს ამ რაიონში იაპონიის 1000 ტონა [illegible]

## ჩრდილოეთ ჩინეთში

[illegible] რაიონში. 7 აგვისტოს მეჯოუს მახლობლად (შანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) იაპონელთა კოლონამ, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უტევდა, ბრძოლაში დაჰკარგა ათასზე მეტი კაცი, მათ რიცხვში პოლკის მეთაური, და მოწყვეტილი აღმოჩნდა თავის ბაზას.

# ჯუნტიაოშანის მთებში

**ჩუნცინი** 10 აგვისტო (საკდესი). ჯუნტიაოშანის მთებს შანსის პროვინციაში მართებულად უწოდებენ „იაპონელთა სასაფლაოს". აქ ცოტა იაპონელი სამურაი როდი დაიღუპა. ამ მთებში შანსის სამხრეთ ნაწილის მოსახლეობამ შეჰქმნა ბაზა პარტიზანული მოძრაობისათვის. იაპონიის სარდლობა 8-ჯერ უშედეგოდ შეეცადა შეჭრილიყო ამ მთებში და გაენადგურებინა პარტიზანთა ბაზა. არასრული ცნობებით, ამ ცდების დროს იაპონელთა დანაკლისი მოკლულთა და დაჭრილთა სახით 20 ათას კაცს შეადგენს.

# გერმანიის მუშათა ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ

მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანიის მუშათა კლასი სულ უფრო-დაუფრო შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს ფაშისტური ხელისუფლების ღონისძიებებს. კერძოდ, დაჟინებითი ბრძოლით და მუშაობის ტემპების შემცირებით ჰამბურგის უდიდეს გემსაშენთა მუშებმა ხელფასის მომატებას მიაღწიეს.

საარის ოლქში 35 ათასმა მუშამ, რომლებიც „ზიგფრიდის ხაზის" ციხე-სიმაგრეთა მშენებლობაზე მუშაობდნენ, აღშფოთებულებმა მცირე ხელფასით, მეტად მცირე და ცუდი ხარისხის კვებით, მუშაობის ტემპების შენელებას მიმართეს.

ივლისის შუა რიცხვებში ხელისუფლება შეეცადა შეეცვალა ეს მუშები სხვებით, რომლებიც გაწვეული იყვნენ რურის ოლქიდან და ვუპერტალიდან, მაგრამ ეს ღონისძიება უნაყოფო გამოდგა.

როგორც გადმოგვცემენ, გერმანიის ხელისუფლება მეტად ჩააფიქრა აგრეთვე მუშების შრომის ნაყოფიერების არაჩვეულებრივმა სიმცირემ ქვანახშირის მრეწველობაში.

O

როგორც გერმანული გაზეთი „დოიჩე ბერგვერკსცაიტუნგი" იუწყება, გერინგმა ვილაც ვალტერი დანიშნა სპეციალურ რწმუნებულად შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებისათვის ქვანახშირის მრეწველობაში. ამას წინათ სამუშაო დღის სამი მეოთხედი საათით გადიდებამ, მუშების წინააღმდეგობის გამო, არავითარი შედეგი არ გამოიღო. სპეციალური რწმუნებულის დანიშვნა ჰმოწმობს, რომ ფაშისტურ ხელისუფლებას განზრახული აქვს მოაწყოს ახალი შეტევა გერმანიის სამთამადნო მუშების წინააღმდეგ.

10 აგვისტო. (საკდესი).

# გერმანიის სამხედრო სასამართლოების მუშაობა ჩეხიაში

**პრაღა,** 10 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ა-ზეტი" იუწყება, რომ გერმანიის სამხედრო სასამართლომ ჩეხიასა და მორავიაში ერთ ჩეხს, რომლის გვარს არ ასახელებენ, 5 თვით პატიმრობა მიუსაჯა „გერმანიის არმიის შეურაცხყოფისათვის". ეს უკვე პირველი შემთხვევა როდია, როდესაც გერმანიის სამხედრო სასამართლო ჩეხიის მოქალაქეებსა და ჩეხიის ყოფილ ოფიცრებს ასამართლებს „გერმანიის არმიის შეურაცხყოფისათვის".

# გერმანიის თვითმფრინავის დაშვება პოლონეთში

**ვარშავა,** 10 აგვისტო (საკდესი). გუშინ იაბლონოვოს (ზღვისპირეთის სავოევოდო) მახლობლად დაეშვა გერმანიის თვითმფრინავი, რომელიც კენიგსბერგის საავიაციო სკოლას ეკუთვნის. როგორც მფრინავმა განაცხადა, მას „გზა აერია ცუდი ამინდის გამო".

# ახალი მთავრობა ჰოლანდიაში

**ამსტერდამი,** 10 აგვისტო (საკდესი). [illegible]

# ინგლის-გერმანიის ორგანიზაციის „ლინკის" გამომჟღავნება

**ლონდონი,** 10 აგვისტო (საკდესი). ინგლისის პრესა განაგრძობს ორგანიზაცია „ლინკის" ნამდვილი სახის გამომჟღავნებას. ახლა უკვე არავითარი ეჭვი აღარ არის, რომ ეს ორგანიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო გერმანიის ფაშისტებთან, არამედ ინგლისის ფაშისტებთანაც. „ლინკის" აღმასრულებელი კომიტეტის წევრი პროფესორი ლორი, რომელმაც ამ დღეებში აღიარა, რომ მან გერმანიიდან მიიღო 150 გირვანქა სტერლინგი იმ წიგნის დაწერაში, რომელიც ფაშისტურ გერმანიას იცავს, ინგლისის ფაშისტთა კავშირში შევიდა. ინგლისელი ფაშისტები აქტიურად ავრცელებენ ჟურნალ „ინგლის-გერმანიის მიმოხილვას", რომელიც „ლინკის" ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული. ამ ჟურნალის რედაქტორი კარპული გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" კორესპონდენტს გამოუტყდა, რომ ჟურნალისათვის რამდენიმე სტატია დასწერა უცხოეთის პროპაგანდის ბიუროს უფროსის მოადგილემ მიუნხენში გოფმანმა. მან აგრეთვე აღიარა, რომ „ლინკი" მჭიდროდ არის დაკავშირებული „ინგლის-გერმანიის აკადემიურ ბიუროსთან" ლონდონში და რომ ამ ბიუროს პირდაპირ ხელმძღვანელობას უწევენ გერმანელი ფაშისტები.

# ჩეხიასა და მორავიაში მთავარ ენად შემოღებულია გერმანული ენა

**პრაღა,** 10 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ნაროდნი ლისტი" დღეს აქვეყნებს სხვადასხვა ბლანკებისა და ანკეტების ფორმებს, რომლებიც დამტკიცებულია „პროტექტორატის" ვაჭრობის სამინისტროს მიერ. მთელი ეს ბლანკები და ანკეტები დაბეჭდილია ორ ენაზე, ამასთან პირველ ადგილზეა გერმანული ენა. ეს აქტი იმას მოწმობს, რომ ჩეხიის „მთავრობა" უკვე ატარებს ხალხისაგან მალულად შეთანხმებას გერმანიის ფაშისტებთან იმის შესახებ, რომ ჩეხიასა და მორავიაში ოფიციალური ურთიერთობისათვის მთავარ ენად შემოღებულ იქნას გერმანული ენა. პრაღაში მიმავალ ავტოგზებზე მაჩვენებლები დაწერილია ორ ენაზე — გერმანულ და ჩეხურ ენაზე. პირველ ადგილზე აგრეთვე სდგას გერმანული ენა.

# ფორსტერის გამოსვლა

**ბერლინი,** 10 აგვისტო (საკდესი). დღეს დანციგში გაიმართა დანციგელ ფაშისტთა ანტიპოლონური დემონსტრაცია შემდეგი ლოზუნგით: „დანციგი გერმანიისაა, დანციგი გერმანიას უნდა გადაეცეს". სიტყვა წარმოსთქვა დანციგელ ფაშისტთა ხელმძღვანელმა ფორსტერმა, რომელმაც განაცხადა: „დადგა განთავისუფლების ჟამი. დანციგელი ფაშისტები ჰიტლერის განკარგულებას ელიან". დასასრულ, ფორსტერმა აღნიშნა: მომავალში, როდესაც დანციგის ფაშისტები დემონსტრაციაზე შეიკრიბებიან, ეს უკანასკნელი უკვე „გერმანიასთან დანციგის შეერთების დღესასწაული" იქნებაო.

# მოკლე ცნობები

(საკდესის მასალების მიხედვით)

● **ვარშავა,** 10 აგვისტო. გუშინ გაანთავისუფლეს და პოლონეთში გამოგზავნეს პოლონეთის საბაჟოს ინსპექტორი ლიპინსკი, რომელსაც დანციგის სასამართლომ წლინახევრის პატიმრობა მიუსაჯა. ლიპინსკი განთავისუფლებულია გაცვლის წესით; სამაგიეროდ განთავისუფლებულია დანციგის საბაჟოს მოსამსახურე, რომელიც წინათ დაპატიმრებული იყო პოლონეთში და რომელსაც „პოლონეთის ხალხის შეურაცხყოფისათვის" პოლონეთის სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა 8 თვით პატიმრობა.

● საბჭოთა პავილიონში ნიუ-იორკის მსოფლიო გამოფენაზე ახალი ექსპონატი არის გამოფენილი — მოსკოვ-ვოლგის არხის ხიმკის სამდინარო ვაგზლის ალუმინისაგან დამზადებული მოდელი.

● უკანასკნელ დროს ტოკიოს ფინანსიურ ბირჟაზე ძლიერ დაეცა აქციების უმეტესობის ფასები. აღნიშნავენ, რომ ამის მიზეზია იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესება.

● ქ. ვინიპეგის (კანადა) პროფკავშირთა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს აგრესორი ქვეყნების საქონლის ბოიკოტისაკენ და კანადის მთავრობისაგან მოითხოვს კანადაში გერმანელი ფაშისტების ჯაშუშური საქმიანობის გამოძიებას.

● ნიუ-იორკის მსოფლიო გამოფენა მისი გახსნის დღიდან 100 დღის განმავლობაში დაათვალიერა 12 მილიონმა 769 ათასმა ფასიანმა დამთვალიერებელმა, საშუალოდ დღეში 127 ათასმა კაცმა, ნაცვლად განზრახულ 225 ათასი კაცისა.



საქართველოს ნორჩი ჩოგბურთელების ნაკრები გუნდი მიემგზავრება ლენინგრადსა და ხარკოვში ნორჩ ჩოგბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ბელორუჩევა და ზ. პოპოვა; ვაჟთა ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი; რ. გრიგორიანი და ვ. ელერდაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# რუსთაველის სახ. თეატრი დაბრუნდა უკრაინიდან

11 აგვისტოს რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივი დაბრუნდა უკრაინიდან, სადაც იგი საგასტროლოდ იყო გამგზავრებული.

თეატრის მუშაკები აღტაცებული არიან მოძმე რესპუბლიკაში მგზავრობით.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. აკ. ხორავამ საქდესის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

— ჩვენმა საგასტროლო მოგზაურობამ საუკეთესო შთაბეჭდილება დაგვიტოვა. 2 თვის განმავლობაში ჩვენმა კოლექტივმა 49 წარმოდგენა გამართა ხარკოვში, ოდესასა და კიევში. უკრაინელ მაყურებელთა შორის ყველაზე დიდი წარმატება ჰქონდა პიესებს: შექსპირის „ოტელოს", ს. შანშიაშვილის „არსენას" და ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებს". ჩვენი კოლექტივის შემოქმედებითი ბრიგადები გამოდიოდნენ აგრეთვე საწარმოებში, წითელი არმიის ნაწილებში და კოლმეურნეობებში. მათ ყველგან გულმხურვალედ შეხვედრას უმართავდნენ. ჩვენი მოგზაურობა უკრაინელი და ქართველი ხალხის ძმური მეგობრობის, სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის ნამდვილი დემონსტრაცია იყო. რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივს დიდხანს ჩარჩება მეხსიერებაში ეს მგზავრობა აყვავებულ უკრაინაში.

ამჟამად თეატრის მუშაკები დასასვენებლად მიდიან ერთი თვით, რის შემდეგ დაიწყება მუშაობა ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებლად. (საქდესი).

# საბჭოთა ავიაციის დღისათვის

**ფოთი,** 11 აგვისტო (საქდესი). ქალაქი ენერგიულად ემზადება საბჭოთა ავიაციის დღესასწაულისათვის. ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში და ქალაქის უბნებში აგიტატორები ატარებენ გმირული საბჭოთა ავიაციისადმი მიძღვნილ საუბრებს.

დაწყებული 15 აგვისტოდან ყველა საწარმოში, დაწესებულებაში და კოლმეურნეობაში ჩატარდება ავიაციის დღისადმი მიძღვნილი მშრომელთა საზეიმო კრებები. ფოთის პარტიული განათლების სახლში, სოციალისტური კულტურის სახლში, ნავსადგურის პარტკაბინეტში, კლუბებში, წითელ კუთხეებში ეწყობა ავიაციის დღისადმი მიძღვნილი რადიოგადაცემები.

მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები გამოუშვებენ ავიაციის დღისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნომრებს. თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო და ნავსადგურის საბჭოები ამზადებენ თავდაცვა-ავიაქიმელთა ლაშქრობას აირწინაღებით, შეჯიბრებას სროლაში, თავდაცვის ნიშნებზე ნორმების ჩაბარებას და პარაშუტით ხტომას კოშკიდან.

# კარნავალი მუშტაიდში

დღეს, ს. ორჯონიკიძის კულტურისა და დასვენების პარკში (ყოფ. მუშტაიდი) მოეწყობა დიდი საზაფხულო კარნავალი.

პარკში დილის 11 საათიდან იმუშავებს საბავშვო რკინიგზა, კარუსელი, მოეწყობა სხვადასხვა ატრაქციონები. ბაღის ხეივნებში მოეწყობა გამოფენა თემაზე — „როგორ შეიცვალა თბილისი ორი ხუთწლედის განმავლობაში" და „თბილისი გარეშე მტრებთან ბრძოლაში".

ბაღში მოეწყობა აგრეთვე ძველი თბილისის დამახასიათებელი კუთხეები, საკარნავალო სახის მსვლელობა — „ქორწილი ძველ თბილისში". ცენტრალურ ესტრადაზე გაიმართება კონცერტი ლ. კავსაძის, აღმოსავლური ანსამბლის და საუკეთესო მსახიობების მონაწილეობით. პარკის სხვადასხვა კუთხეებში მოეწყობა თვითმოქმედი წრეების გამოსვლები, დაუკრავს დუდუკი, საზანდარი, არღანი, მოეწყობა დიდი ფეიერვერკი.

# ჭადრაკის ნორჩი ჩემპიონები

დამთავრდა მოსწავლე მოჭადრაკეების შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრებაში 30 მოჭადრაკე ბავშვი მონაწილეობდა. ვაჟთა შორის 1939 წლის საქართველოს ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა თბილისელმა მესროპოვმა. მან 14 შესაძლებელი ქულიდან 12 მოაგროვა. მეორე ადგილი დაიკავა პასიკოვმა (ბათუმი), მესამე — ჯარსანიძემ (თბილისი).

ქალთა ჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა ძოძიაშვილი (ქუთაისი), მეორეზე — ცარიძე (ბათუმი).

# მშენებელთა კავშირის კლუბში

დღეს, საღამოს 9½ საათზე, მშენებელთა კავშირის გორკის სახ. კლუბში (პლეხანოვის პროსპ.) ამავე კავშირის ქუთაისის რაიკომთან არსებული მომღერალთა თვითმოქმედი გუნდი ამხ. ბ. ღოღობერიძის ხელმძღვანელობით გამართავს კონცერტს. პროგრამაშია გურული, მეგრული, იმერული, რაჭული სიმღერები და ცეკვები.

# აგარაკი აბანო

სოფელი აბანო (ხაშურის რაიონი) აგარის რკინიგზის სადგურს დაშორებულია 20 კილომეტრით. იგი მდინარე ფრონის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს. თვით ამ სოფლის სახელწოდება წარმოშობილია იმის გამო, რომ მდ. ფრონის პირას მდებარეობს აბანო, რომლის წყალშიც უხვად არის გოგირდი და სხვა მინერალები.

ეს აბანო ჯერჯერობით ძალიან პრიმიტიულად არის მოწყობილი. აბანოს წყალი ჰკურნავს რევმატიზმს, გულისა და სისხლის ძარღვების დაავადებებს, იშიასს, ქალთა სნეულებას (ანთებითი პროცესს), ნერვიული სისტემის ფუნქციონალურ დაავადებებს და კანის სნეულებებს. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ამ აბანოში ფორთხვით მოსული ბევრი ავადმყოფი აბაზანების მიღების შემდეგ შინ გამართული, განკურნებული წასულა.

სოფ. აბანოში დაინახავთ (ცუსხიან ზამთარშიც კი) სხვადასხვა სოფლის გლეხებს, რომლებსაც კასრებით მიაქვთ აბანოს წყალი. ამ წყლით ისინი ჰკურნავენ ქარებით დასნეულებულებს.

სოფ. აბანოს შესანიშნავი სამთო-კლიმატური პირობები აქვს. ამ მხრივ ის საქართველოს ზოგიერთ კურორტსაც არ ჩამოუვარდება.

საჭიროა ამ აგარაკს ხელი მოჰკიდოს საქართველოს კურორტთა მთავარმა სამმართველომ, კარგად შეისწავლოს მისი სამკურნალო თვისებები. ამით ჯანმრთელობის დაცვის კიდევ ერთი კერა შეემატება ორდენოსან საქართველოს მშრომელებს.

მასწ. შრ. სამინავა.

# ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

18 აგვისტოს ლენინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. ვეგიას ლექცია თემაზე: ჩინელი ხალხის ბრძოლა იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

18 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

# პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1535137, გაცემული ამავე რაიკომის მიერ სილიბისტრო იქვთიმეს-ძე მურღულიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ პარტბილეთი № 1503037, გაცემული ბაქოს საქალაქო რაიონული კომიტეტის მიერ სერგი ისაკის-ძე სარქისოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი


**სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი**
(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50)

**საზაფხულო თეატრი**
12 აგვისტოს
მუდმივი ადგილ. ტალ. № 76
**მხიარული ქვრივი**
მუს. კომ. 3 მოქმ.
13—14 აგვისტოს
მუდ. ადგ. ტალ. № 77—78
პრემიერა
**მესამე ვეფხვი**
მუს. კომ. 3 მოქმ.
სამხატვრო ხელმძღვან. ა. ნ. ოლგარი
დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე.
სალარო ღიაა დილის 11 საათ. 3 საათ., საღამოს 6 საათ. 11 საათ.

**დახურული თეატრი**
13—14—15 აგვისტოს
**სვერდლოვის მინიატურის თეატრის გასტროლები**
კონფერანსიე: ა. ლიუბანსკი.
დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ბილეთები იყიდება.

**ღია ესტრადა** 12 აგვისტოს
1. ესტრადის საღამო 2. მხატვრული კინოფილმი
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
13—14—15 აგვისტოს მხატვრული კინოფილმი.
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

**სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი**
(რუსთაველის პროსპ. № 21)

განცხადებების მიღება გაგრძელებულია 20 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოს 12 საათზე.

დაწვრილებითი პირობების გასაგებად მიმართეთ ინსტიტუტის კანცელარიაში ყოველდღე 10 საათიდან 2 საათამდე ან იხილეთ 8 ივლისის „კომუნისტი" № 154.

731 3—2 ინსტიტუტის დირექცია.

**ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსი**
**1939 წლის 25 ნოემბერს ქ. მოსკოვში შესდგება ესტრადის მსახიობთა კონკურსი**
კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ესტრადის პროფესიონალი მსახიობები 35 წლის ასაკამდე.

კონკურსი ჩატარდება სამი ტურით.
პირველი ტური ჩატარდება თბილისში 9 ნოემბერს, მეორე და მესამე ტური კი მოსკოვში. დაწესებულია ფულადი ჯილდოები.
კონკურსი შესდგება სამი განხრით: 1. კითხვითი ჟანრი,
2. ვოკალური ჟანრი,
3. საცეკვაო ჟანრი.
მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ 9 სექტემბრამდე კონკურსის ორგკომიტეტის სახელზე.
დაწვრილებითი ცნობები კონკურსის პირობებისა და პროგრამების შესახებ მსურველებს შეუძლიათ მიიღონ კონკურსის ორგკომიტეტიდან, მისამართი: პლეხანოვის პროსპ. № 123, საქსახესტრადა, ვ. პატარაია, ტელეფ. 3-55-24.

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო.
100

**სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი**
(ფუნიკულიორის პლატო)
12 აგვისტოს
**დიდი საღამო-კონცერტი**
კობელის, სვანიძის (ორდენოსანი), ბუთხუზის, ყვარელაშვილის (ორდენოსანი) და სხვათა მონაწილეობით.
პარკში მრავალფეროვანი გასართობები. 2—2

1939 წლის 13 აგვისტოს საღამოს 6 საათზე პიონერთა კლუბში (ლენინის ქ. № 3) გაიხსნება საქ. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის
**პირველი საქალაქო კონფერენცია**
დღის წესრიგი:
1. ცნობა საქ. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ.
2. საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობისა და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატების არჩევნები.
2769 საორგანიზაციო კომისია.

„საკორგაღრიცხვის" საქართველოს სასწავლო-სააღრიცხვო ეკონომიური კომბინატის თბილისის ფილიალი აწარმოებს
**ბუღალტრების, მოანგარიშეებისა და სტატისტიკოსების მომზადება-გადამზადებას.**
კურსები სამეურნეო ანგარიშზეა. განცხადებების მიღება სწარმოებს. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. დაწვრილებითი ცნობები მიიღება ფილიალის კანცელარიაში, ვ. ზასულიჩის (ყოფ. პანასევიჩის) ქუჩა № 38, მე-65 საშუალო სკოლის შენობაში (კარლ მარქსის მოედნის მახლობლად) საღამოს 7 საათიდან 11 საათამდე. ტელეფონის № 3-14-45.
2774 დირექცია.

საქ. კოოპინკავშირის სისტემაში შემავალ არტელ „პირველი მაისს" **ესაჭიროება „ფასოვკაზე" სამუშაოდ ინვალიდები და პენსიონერები, როგორც ქალები, ისე კაცები**
მიმართეთ გამგეობას: ქ. თბილისი, ტოლსტოის ქ. № 2, კ. მარქსის მოედანთან.
300 გამგეობა.

**სტამბა „კომუნისტი" ღებულობს მოწაფეებს საამწყობო საამქროსათვის.**
მსურველებს შეუძლიათ მიმართონ სტამბა „კომუნისტის" კადრების განყოფილებას — ამხ. ბზიშვილს.
ლენინის ქ. № 28, მე-3 სართული.
დირექცია.

**საქართველოს იურიდიული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას**
1939-40 სასწავლო წლისათვის რუსულ და ქართულ სექტორებზე.
სკოლაში მიიღება ორივე სქესის ყველა მოქალაქე 17-დან 45-წლამდე ასაკისა, რომელთაც დაუმთავრებიათ შვიდი კლასი ან მისი თანაბარი სასწავლებელი.
სკოლაში საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 25 აგვისტოდან 28 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.
მსურველებმა დირექციის სახელზე განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ავტობიოგრაფია, 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. დაბადების მოწმობა, 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 5. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, 6. დახასიათება პარტიულ-კომკავშირული და საბჭოთა-პროფესიული ორგანიზაციებიდან, 7. სამი ფოტოსურათი.
შემსვლელნი აბარებენ გამოცდას საშუალო სკოლის შვიდი კლასის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. სსრკ კონსტიტუციაში, 2. მათემატიკაში, 3. ქართულ ენაში, 4. რუსულ ენაში.
ჩარიცხული მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით — თვეში 200 მანეთით თვითეული.
სწავლების ვადა ორი წელი.
საბუთები უნდა წარმოადგინოთ შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32, საქ. იუსტიციის სახ. კომისარიატის კადრების განყოფილება.
2767 სკოლის დირექცია.

ექიმ **ნ. გ. კანტოროვიჩის** თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის **კაბინეტი**
ელბაქიძის დაღმართი, 21
მიღება დილის 12-დან 4 ს-მდე.
მუწუკების, ფერისმჭამელას, ჭორფლის, ლაქების, კანის სიხმელის, თმის დაცვენის, თმის მკურნალობა, ხალების, მეჭეჭების, ნაჭრილობევების და პირისახისა და თავის კანის სხვა ნაკლთა გაქრობა. 3—3 1768


„ბეტონმშენის" თანამშრომლები ვ. მალაფერიძე, ს. შუბაშვილი, ლ. კვიტაიშვილი, ტ. არუთინოვი, შ. ხაინდრავა, ლ. გოგიბერიძე, დ. ბაკურაძე, ა. გრიგოლიანი, შ. იმხანოვი იუწყებიან ახლო მეგობრის
**ნიკოლოზ ნიკიფორეს-ძე მუჯირის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VIII, ს. ბოხვაურში (მახარაძის რაიონი). 2768

საქმინწყლების ტრესტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლეონიდეს (ალიოშა) მისი მამის
**ნიკოლოზ მუჯირის**
გარდაცვალების გამო. 2770

ღრმად დამწუხრებული მშობლები ელისაბედ, მიხა, დები ელიკო, ნინო, ძმა კაკო იუწყებიან დაუვიწყარ
**ივლიანე (ივდი) მიხას-ძე ბირკაიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 აგვისტოს სოფ. გეგეჭკორში. 2783

დამწუხრებული მშობლები თედო, საშა, დები ქეთო, კატო, რუსიკო წითელაშვილები, ბიძები პიპიკო, ვალოდია, აკაკი, მელიტონ ბერიძეები ცოლშვილით და კოლია ჩიქოვანი იუწყებიან ძვირფას
**ითიკოს**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კლდეეთში 15/VIII. 2784

დამწუხრებული მეუღლე პელაგია ფიცხელაური იუწყება საყვარელ და ძვირფას
**ნიკოლოზ (ნიკო) ვასილის-ძე ფიცხელაურის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/VIII 7 ს. გამოსვენება 13/VIII 5 ს. ნინოშვილის, 21, კუკიის სასაფლაოზე. 2786

შვილები თამარ, გიორგი ადამიები, სოფო მურთაზაშვილი, შვილიშვილები ლევან, მედეა, ზურაბ, სიძე გ. გოგიტიძე იუწყებიან
**ელენე ვასილის-ასულ ადამიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/VIII, 8 ს. განათლების შესახვ., 4. დაკრძალვა 13/VIII, 6 ს. 2772

ნიკოლოზ და ალექსანდრე მჭედლიშვილები დედით იუწყებიან საყვარელ
**ნიკოლოზ (ნიკო) ვასილის-ძე ფიცხელაურის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/VIII 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 2787

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი იუწყება პრორექტორის პროფესორ არჩილ ხარაძის მამის
**კირილე ბექანის-ძე ხარაძის**
გარდაცვალებას. 2771

დამწუხრებული მეუღლე ეპრაქსია, შვილები ბორია, ნაზიკო და მინია გახოკიძეები იუწყებიან საყვარელ
**ანდრო გიორგის-ძე გახოკიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VIII ს. ბანძაში. 2775

მეუღლე ნინო, შვილი ელენე ვაჩნაძეები, დისწულები მარიამ წერეთლისა, ტასო სარაჯიშვილი, ნინო პროხოროვა იუწყებიან
**გიორგი რევაზის-ძე ვაჩნაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/VIII, 6 ს. ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტიდან კუკიის სასაფლაოზე. 2776

რძალი ნინო მუჯირი შვილებით ვარლოთი, ლადოთი, კოლიათი და თინათი, სიძით ლადო გუგუშვილით, რძლებით ნინოთი და სარათი მწუხარებით იუწყება დაუვიწყარ
**ნიკოლოზ ნიკიფორეს-ძე მუჯირის**
გარდაცვალებას. 2777

სახუნტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის თანამშრომლები: ჩარექიშვილი, შათაშვილი, ავაზაშვილი, კვესელავა, ცხადაია, წითლანაძე, სიხარულიძე, ხვედელიძე, ზერაგია, თევზაძე, ვეკუა, ჩხიკვაძე, სიგუა, ლომაძე, ცინაური იუწყებიან პროფ. ა. ხარაძის მამის
**კირილე ბექანის-ძე ხარაძის**
გარდაცვალებას. 2781

უახლოესი მეგობრები შ. სამადაშვილი, დ. გირგიდოვი, ფ. რიბინსკი, ვ. მირცხულავა, მ. ღვინიაშვილი, ე. შიშნიაშვილი, დ. მანჯავიძე, პ. სარქისაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვანო ცაგარელს მისი ძმის
**კოლიას**
გარდაცვალების გამო. 2782

ექიმი ნიკოლოზ გიორგის-ძე ხოშტარია იუწყება მისი აღმზრდელი ბიცოლას
**ელენე ვასილის-ასულ ადამიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/VIII, 8 ს. განათლების შეს. 4. დაკრძალვა 13/VIII, 6 ს. კუკიის სასაფლაოზე.

სეფე, ნატაშა, ვალოდია, მარო, სერგო, ლენა, ვალიკო, საშა, მარგო, გოგუცა, შუტუ ბურჯულაძეები იუწყებიან უახლოესი ნათესავისა და მეგობრის
**ტიტიკო მელიტონის-ძე ელენტის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VIII ს. სამებაში. 2773

ლუკა და მაკრინე პეტუები შვილებით ძიკოთი, ჩიტოთი, ოლიათი, ვალიათი, ცონდოთი, ზინათი, სონიათი, გოგოლიათი, სიძეებით გ. ურიდიათი, ი. წულაიათი, ი. ჯანაშიათი, შვილიშვილებით იუწყებიან
**ანდრო გიორგის-ძე გახოკიძის**
გარდაცვალებას. 2780

მეუღლე სარა, შვილები ლევან, ვალენტინა, ძმისწული ალიკო ცოლშვილით, ახლო ნათესავი ბიქტორ ფრუიძე იუწყებიან ძვირფას
**ვლადიმერ იოსების-ძე ისელიძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/VIII 5 ს. დიდუბის მე-3 შესახვევი, 8, კუკიის სასაფლაოზე. 2778


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—34, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ. ჩ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 289